# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალ-ხის გაცვანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 21 თებერვალი. 2022 წ. №28 (9366) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

## ქრისტეს უზანგის მკვნეტელნი

### გორის მერმა არასამთავრობო სექტორს ბელადის ფიგურის ჩანაცვლებაზე მხარდაჭერა აღუთქვა



## გრიგოლ ონიანი: დიდი რომ ერქვა პატარა გორს, ის დრო წავიდა?!.

## ცრუქართველთაგან სტალინის სახელის გაბიაბრუება ვაი ჭკუისაგანაა!..

**„სტალინის გარშემო არსებული დეზინფორმაციისა და ნოსტალგიის დაძლევა: ახალი იდენტობა ქალაქ გორისთვის“ — ამ სახელწოდების პროექტის განხორციელება არასამთავრობო სექტორმა დაიწყო. მისმა ავტორებმა საინფორმაციო შეხვედრა გორის მერთან ვლადიმერ ხინჩეგაშვილთან გამართეს. ინფორმაციას, შეხვედრის ამსახველ ფოტოსთან ერთად, IDFI ავრცელებს.**

**„პროექტის მიზანია, გორის (შიდა ქართლის) ალტერნატიული ისტორიის შესახებ ცნობიერების ზრდა და სტალინის ფიგურის ჩანაცვლებაში წვლილის შეტანა, რეგიონის (ქალაქის) ისტორიასთან დაკავშირებული საარქივო მასალების მოძიება, ანალიზი, ინტერპრეტაცია და ვიზუალიზაცია, ქალაქის ისტორიაზე დაფუძნებული „იდენტობის რუკის“ შექმნა, რომელიც გარკვეულწილად ჩაანაცვლებს სტალინის ფიგურას, როგორც ქალაქის სიამაყის ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს. კომუნიკაცია გორის მერიასთან და სხვადასხვა საკითხის უმოკლეს ვადებში გადაჭრა პროექტის განხორციელებისთვის უმთავრესია“,** — წერს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი.

ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ დეზინფორმაციული ნარატივები, რომლებიც შიდა ქართლში სტალინის მიმართ სენტიმენტებსა და ნოსტალგიას ეფუძნება, თაობიდან თაობას გადაეცემა და კვლავაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონის იდენტობის ჩამოყალიბებაში. სტალინის კულტის მუდმივი ინსტრუმენტალიზაციის გამო, რეგიონი კვლავ საზრდოობს სტალინის გარშემო არსებული მითებით.

პროექტში ადგილობრივი ორგანიზაციების, **— „გორის საინფორმაციო ცენტრისა“** და „ფოტოგრაფთა კლუბის“ წარმომადგენლებიც არიან ჩართულები. IDFI-ის ინფორმაციით, ქალაქის მერმა პროექტის გუნდს მხარდაჭერა აღუთქვა. ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა სურვილი გამოთქვა პროექტში განსაკუთრებით ახალგაზრდობის ჩართულობაზე, რაც აქტივობების ეტაპებზე გათვალისწინებულია. პროექტი ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და Zinc Newtork-ის მიერაა მხარდაჭერილი.

იხ. 3 გვ.

## მიუნხენის კონფერენციის პრიორიტეტები



**ჩვენთვის პრიორიტეტული იყო მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის პლატფორმის გამოყენება ჩვენი ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების კიდევ ერთხელ ხაზგასასმელად,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე წერს. როგორც მთავრობის მეთაური აღნიშნავს, კონფერენციის ფარგლებში მან შეხვედრები გამართა როგორც პოლიტიკურ ლიდერებთან, ასევე ბიზნესწრეების წარმომადგენლებთან და უმსხვილესი კომპანიების პირველ პირებთან.

**„ნაყოფიერი ვიზიტი მქონდა მიუნხენში, უსაფრთხოების 58-ე კონფერენციაზე, სადაც პირადად კონფერენციის თავმჯდომარის ვოლფგანგ იშინგერის მიწვევით ვიმყოფებოდი. შეხვედრები გავმართე, როგორც პოლიტიკურ ლიდერებთან, ასევე ბიზნესწრეების წარმომადგენლებთან და უმსხვილესი კომპანიების პირველ პირებთან. ჩვენთვის პრიორიტეტული იყო მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის პლატფორმის გამოყენება ჩვენი ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების კიდევ ერთხელ ხაზგასასმელად. უსაფრთხოების კუთხით არსებული გამოწვევების ფონზე, კიდევ ერთხელ დავადასტურეთ მტკიცე მხარდაჭერა ჩვენი უკრაინელი მეგობრებისადმი, ასევე ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან ვიმსჯელეთ ვითარების განმუხტვის გზებზე. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ვიზიტის ფარგლებში გამართული ეკონომიკური შეხვედრები, რადგან ჩვენი ქვეყნის განვითარება, მიმზიდველობის გაზრდა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი, რათა მოვიზიდოთ რაც შეიძლება მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, გავაძლიეროთ ეკონომიკა და გავხდეთ რეგიონული ჰაბი“.**

## კეზერაშვილი, „ბინძური ფული“, ჩერგოლეიშვილი, კილაძე, „ნაცსექტა“ - შეტევა ყველა მხრიდან... მელია დიდ შარშია!..

④

იხ. 2 გვ.




უკრაინელი ჯარისკაცი საბავშვო ბაღის შენობასთან, რომელსაც სეპარატისტების მიერ ნასროლი ჭურვები მოხვდა. სტანიცა ლუგანსკა, 17 თებერვალი, 2022 წელი.

## ხელწერას არ იცვლის!



## 2008 წლის საქართველო და 2022 წლის უკრაინა

### 2008 წლის საქართველო და 2022 წლის უკრაინა

# ოკუპანტი ხელწერას არ იცვლის!



უკრაინელი ჯარისკაცი საბავშვო ბაღის შენობასთან, რომელსაც სეპარატისტების მიერ ნასროლი ჭურვები მოხვდა. სტანიცა ლუგანსკა, 17 თებერვალი, 2022 წელი.

**2022 წლის უკრაინაზე საუბრისას, ექსპერტები თუ დიპლომატები სულ უფრო ხშირად იხსენებენ 2008 წლის ომს საქართველოში. – რა ხელწერით მოქმედებდა რუსეთის ხელისუფლება 14 წლის წინათ საქართველოში და რა ხელწერა აქვს ახლა, უკრაინის წინააღმდეგ? რა არის მთავარი განსხვავება?**

2008 წელს საქართველოში, ხოლო 2022 წელს უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს შორის, სპეციალისტების დაკვირვებით, მსგავსება ბევრია, თუმცა არის განსხვავებებიც.

**„გაეროს რბილმა და დამთმობმა რეაქციამ 2008 წელს შედეგად გამოიღო საქართველოს მიწა-წყლის განგრძობადი ოკუპაცია... იმედი გვაქვს, რომ გაეროს ლიდერები გაკვეთილებს სწავლობენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციის მაგალითით“,** – თქვა გაეროში უკრაინის მუდმივმა წარმომადგენელმა სერგი კისლიცამ 17 თებერვალს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას და დაჟინებით მოითხოვა, რომ ამჯერად მაინც, ყველამ უფრო „ხმამაღლა“ დაიცვას გაეროს წესდების პრინციპები.

**მზარდი დაძაბულობის ფონზე, ბოლო დღეებში, სულ უფრო ხშირად ავლებენ პარალელებს 2008 წლის საქართველოსთან, როცა რუსეთი შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე.**

**„2008 წლის საქართველოს ჰგავს: კრემლის მიერ კონტროლირებული სეპარატისტები ესროდნენ საქართველოს სოფლებს. საქართველოს ხელისუფლებამ შეუტია, რათა შეეჩერებინა ეს (თავდასხმები). პუტინს თავისი საბაბი ჰქონდა ომისთვის“,** – წერს ტვიტერზე ამერიკელი დიპლომატი, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე, „ატლანტიკური საბჭოს“ წარმომადგენელი **დენიელ ფრიდი.**

იხ. 9 გვ.

# კარიდან გაგდებული – ფანჯრიდან იპარება!..

**„ოპოზიცია შალიკოს ფანჩატურში ქვეყნის ნგრევის გეგმას ამუშავებდა, ხოლო სწორედ „ლელოს“ წარმომადგენლები იყვნენ, რომლებმაც პირველებმა შეადგინეს ე. წ. „შავი სიები“**

**2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინ, იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგვაძემ განაცხადა, რომ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ფინალური „თამაში“ ანგარიშით 41:0 დასრულდება“. მაშინ მმართველმა გუნდმა, ოპოზიცია მართლაც დაამარცხა, თუმცა მთლად „მშრალი ანგარიშით“ ვერა, რადგან ზოგიერთ მუნიციპალიტეტში მეორე ტური დაინიშნა. მეორე ტური იყო რუსთავში, სადაც აპრილში შუალედური არჩევნები უნდა იყოს.**

აღნიშნულ რეგიონში გაერთიანებულ ოპოზიციას მანდატჩამორთმეული კანდიდატი – **ბადრი ჯაფარიძე** ჰყავს. შეძლებს თუ არა „ქართული ოცნება“ ამჯერზე „მშრალად მოგებას“ თუ „მეორე ტაიმი“ დაინიშნება? – ანალიტიკოსები თვლიან, რომ კარიდან გაგდებული ბადრი ჯაფარიძე ახლა ფანჯრიდან შეეცდება შესვლას, თუმცა დარწმუნებულნი არიან, რომ უმრავლესობა რუსთავში პირველივე ტურში იზეიმებს გამარჯვებას.

**„ოქტომრის არჩევნებთან შედარებით, „ქართულ ოცნებას“ ახლა უკეთესი შედეგი ექნება. ბადრი ჯაფარიძემ ჩათვალოს, რომ ის დასამარცხებლად განწირულია. მან დაიჭირა ურთიერთობა ისეთ პოლიტიკურ ძალასთან, როგორიც არის „ნაციონალური მოძრაობა“, ხოლო „ნაციონალური მოძრაობა“ სადაც არის, იქ მუდამ დამარცხებაა, ვინაიდან ქართველმა ხალხმა ძალიან კარგად იცის, ეს დესტრუქციული ძალა რას წარმოადგენს, რომელიც მოწოდებულია მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამისკენ – ქვეყნის ნგრევასა და ქვეყანაში შესაძლო სისხლისღვრისკენ“,** – განუცხადა **ედიშერ გვენეტაძემ** For.ge-ს და კითხვაზე – რომ არა ბადრი ჯაფარიძის ასოცირება „ნაციონალურ მოძრაობასთან“, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა მეორე ტურის გამართვა, ანალიტიკოსი ასე პასუხობს:

**„დღეს არის ასეთი ვითარება – „მთხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინა ხარ შენ“. აქედან გამომდინარე, ვინაიდან ბადრი ჯაფარიძის სიმპათიები წინა არჩევნებზე იხრებოდა „ნაციონალური მოძრაობისკენ“, ამიტომ ჯაფარიძეს გარანტირებული ჰქონდა და აქვს ნებისმიერ შემთხვევაში დამარცხება, რადგან ოპოზიცია დღეს სახელგატეხილია. სახელგატეხილი იმ მხრივ არის, რომ გაერთიანებული ოპოზიცია შალიკოს ფანჩატურში იმყოფებოდა და ერთად ქვეყნის ნგრევის გეგმას ამუშავებდნენ. უფრო მეტიც მინდა გითხრათ, სწორედ „ლელოს“ წარმომადგენლები იყვნენ ისინი, რომლებმაც პირველებმა შეადგინეს ე.წ „შავი სიები“. უფრო კიდევ მეტი – ის ადამიანები, ვისაც ისინი სასურველად არ მიიჩნევდნენ, უნდა დაეპატიმრებინათ. ეს არის ოპოზიციის ნამდვილი სახე და ამიტომაც არის ის, რაც მათ მიმართ ხდება“,** – განაცხადა ანალიტიკოსმა.

ექსპერტი **ზურა ქადაგიძე** მიიჩნევს, რომ დღევანდელ ოპოზიციას თავის ისტორიაში ყველაზე დაბალი რეიტინგი აქვს.

**„ოპოზიციაში ძალიან არათანმიმდევრულ განცხადებებს აკეთებენ, რის გამოც მათი პროცენტები სასაცილო ნიშნულამდე მივიდა. საერთო ჯამში, ერთი ვიცი, რომ სამთავრობო კანდიდატი გაიმარჯვებს. ძალიან დიდხანს შემიძლია ვისაუბრო, რა განსხვავებაა ოპოზიციისა და სახელისუფლო კანდიდატებს შორის. შეიძლება ჩემი სიმპათია ხელისუფლებისკენ იხრება, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ოპოზიციის ეს მდგომარეობა მომწონს. ეს მდგომარეობა გამომდინარეობს იქიდან, რომ მათი არათანმიმდევრული დამოკიდებულებით მივიდნენ იქამდე, რომ საქართველოს ისტორიაში, რაც კი ოპოზიცია არსებობდა, დღევანდელი ოპოზიციის რეიტინგი ყველაზე დაბალ ნიშნულზეა.**

**ანუ, ამ ყველაფრით რისი თქმა მინდა, – ერთია, არჩევნებზე საზოგადოების დამოკიდებულება ოპოზიციისა და სახელისუფლო კანიდატის მიმართ, მეორეა, არჩევნებში რეალურად მონაწილე ადამიანები, რომელთა სიმრავლემაც ის მასშტაბი უნდა მოიტანოს, რომ ეს პროცესი პირველივე ტურში დასრულდეს. აქედან გამომდინარე, ეს ყველაფერი ტექნიკური საკითხია და ასევე ხელისუფლება რამდენად სწორ კამპანიას აწარმოებს“.**

ახლა პოლიტიკური კრიზისის ეპიცენტრში არ ვიმყოფებით და ხელისუფლებას აქვს იმის რესურსი, ბევრად დავარცხნილი და დახვეწილი კამპანია აწარმოოს, რათა არ მოხდეს ის გაურკვევლობა, რომელიც რუსთავში აქამდე მოხდა.

**„ასევე დღეს მნიშვნელობა არ აქვს, გაერთიანებული ოპოზიცია რომელ კანდიდატს დააყენებდა. პირობითად ბადრი ჯაფარიძემ შეიძლება დავით კირკიტაძესთან შედარებით 2%-ით მეტი ხმა აიღოს, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. ღირსების საკითხად თვლის ბატონი ჯაფარიძე, რომ რადგან პარლამენტმა მის უფლებამოსილების შეწყვეტას მხარი დაუჭირა, კარიდან გაგდებული, ფანჯრიდან შევიდეს, თუმცა მისი მცდელობა არაფრის მომტანი იქნება“**, – განაცხადა **ზურა ქადაგიძემ.**

ქეთი გიორგაძე




# დაყრევინებული მანდატები,

## ანუ შალიკო ომში მიდის...

**კარგა ხანია ასეთი ოპოზიცია მგზნებარე, ოპოზიცია შემართული, ოპოზიცია გააფთრებული და ჯამში ოპოზიცია ჩასვრილი საპარლამენტო სხდომა არ გვინახავს! პარლამენტმა ბრჭყალები გამოაჩინა, აქამდე რომ არ გამოუჩენია ისე.**

საქმე ეხებოდა ბადრი ჯაფარიძის, ელენე ხოშტარიასა და შალვა ნათელაშვილისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტას, ანუ პარლამენტიდან მათ გარიცხვას, თუ სრულ სიმართლეს ვიტყვით, პარლამენტიდან მათ გაპანღურებას. პროცესი წევრთა გარიცხვისა არ იყო მაინცდამაინც საამური და სახალისო სანახაობა ერთობ დამთრგუნველ შთაბეჭდილებას ახდენდა. ოღონდ, არც ლოყების დასახოკად განგაწყობდათ. ოპოზიცია ლომივით იცავდა თავის განწირულ შვილებს, მაგრამ სალომე, სამგლე და სატურე იქ არაფერი იყო, ყველაფერი კონსტიტუციისა და კანონის მიხედვით ხდებოდა: **ბადრი ჯაფარიძეს მანდატს უუქმებდნენ რადგან, როცა დეპუტატს სასამართლო ბრალეულად ცნობს, ის აღარ შეიძლება იყოს პარლამენტის წევრი: ეს დალაგებულ-აღმატებული ბადრი თბილისის სასამართლომ დამნაშავედ ცნო თაღლითობაში, თუმცა თავისუფლება არ აღუკვეთა დანაშაულის ხანდაზმულობის მიზეზით; ბოროტი მეშატალოე შალვა ნათელაშვილი ჯიუტად არ ესწრებოდა პარლამენტის სხდომებს, რაც სულაც არ უშლიდა ხელს სრულად აელო ხელფასი და პარტიისთვის გამოყოფილი სარგო; „მესვისტოკე“ ელენე ხოშტარიამ თვითონ განაცხადა სურვილი პარლამენტის დატოვებისა, რომლის მუშაობაში მონაწილეობასაც ის ყოველთვის მძულვარედ უგულებელყოფდა (კაცმა რომ თქვას, რას შედიოდა?!).**

ასეთ წაგებულ მდგომარეობაში საპარლამენტო ოპოზიცია ერთმანეთის კუდზე კბილჩავლებული ვირთაგვებივით მძვინვარედ ეხეთქებოდა პარლამენტის ქიმს. მაგრამ დასამალი როდია, რომ მთელი ეს ძალისხმევა ძირითადად „ლელოს“ პრივატ-დოცენტ ბადრი ჯაფარიძის დასაცავად იყო მიმართული.

როგორც მოსალოდნელი გახლდათ, ყველაზე უსამართლოდ, უმართებულოდ, უსინდისოდ, როგორც იტყვიან, ყველაზე აფრაკად „ლელოს“ პოლიტიკური მდივანი, ცივსისხლიანი ნაცი სალომე სამადაშვილი გამოვიდა: ეს არისო თავდასხმა დემოკრატიაზე, თქვენ მშიშრები ხართო, ჩვენ გავიმარჯვებთ და ამას მალე ნახავს ქვეყანაო, დაბოლოს, დღეს ბიძინა ივანიშვილმა მორიგი შეტევა განახორციელა დემოკრატიაზე, მაგრამ სტრასბურგის სასამართლო გაგცემთ პასუხს, თქვენი დედაცო...

აქვე ამ ვითომ ჭიპმოჭრილი დიპლომატისა და პოლიტიკოსის ერთ იაღლიშს გაგაცნობთ, როგორც მისი მრუდე ლოგიკის მაგალითს: საპარლამენტო განხილვის შემდეგ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ერთ-ერთ ტელეგადაცემაში მრავალ სხვა საკითხთან ერთად სამი ოპოზიციონერი დეპუტატის მანდატების გაუქმების შესახებაც ისაუბრა და ბადრი ჯაფარიძეზე თქვა, მას რომ წაყენებული ბრალი ეღიარებინა, შესაძლოა მანდატი შენარჩუნებოდაო. ეს სალომე სამადაშვილმა ჟურნალისტებთან ასე მოთარგმნა: ირაკლი კობახიძემ პირდაპირ განაცხადა, ბადრი ჯაფარიძის მანდატის გაუქმებას არაფერი აქვს არც საკონსტიტუციო მართლწესრიგთან და არც კანონის უზენაესობასთან, ბადრი ჯაფარიძეს

# რატომ არ მივიდა მთა მუჰამედთან?!

## ნახევრად-ოპოზიციური ზუგდიდი



**გასული წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შემდგომ საქართველოს რამდენიმე მუნიციპალიტეტში, მათ შორის ზუგდიდში რთული ვითარება შეიქმნა. მმართველმა პარტიამ ვერ აირჩია საკრებულოს თავჯდომარე. ასეთი პრეცედენტი არც ერთ არჩევნებზე არ ყოფილა, ყოველთვის მმართველი პარტიები უმრავლესობით მოდიოდნენ და უპრობლემოდ აყალიბებდნენ საკრებულოს. არადა ჩვენმა პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა ისწავლონ თუ როგორ უნდა ჩამოაყალიბონ კოალიციური მთავრობა. მთავარი ხელისშემშლელი, მთავარი პრობლემა საქართველოში კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებისა არის და იქნება „ნაციონალური მოძრაობა“, რომელსაც, ჩვენდა სამწუხაროდ, მთავარი ოპოზიციური ძალის ნიშა ჯერ კიდევ გააჩნია.**

45-წევრიან ზუგდიდის საკრებულოში „ნაციონალური მოძრაობა“ უმრავლესობით — 22 დეპუტატითაა წარმოდგენილი, ხოლო 1 ხმაღა დააკლდათ რომ კანდიდატი გაეყვანათ თავჯდომარედ. იმედოვნებდნენ, რომ გახარიას „საქართველოსთვის“ (3 წევრი), დეპუტატები დაეხმარებოდნენ, მაგრამ როგორც „ქართული ოცნების“ (20 წევრი) ასევე გახარიას გუნდის წევრებსაც სურდათ საკრებულოს თავმჯდომარეობა. 3 თვის განმალობაში 6 სხდომა გაიმართა, სადაც სამი პარტია ვერა და ვერ თანხმდებოდა, თუ ვინ უნდა გამხდარიყო საკრებულოს თავმჯდომარე. „ნაციონალური მოძრაობის“ ზრახვები ისედაც ცნობილი იყო, მაგრამ ძალიან სამწუხაროა, რომ ვერც „ქართული ოცნება“ და ვერც გახარია „საქართველოსთვის“, ვერ დადგნენ პარტიულ ინტერესებსზე მაღლა. არსებობს ასეთი აღმოსავლური ანდაზა „თუ მთა არ მიდის მუჰამედთან, მაშინ მუჰამედი მიდის მთასთან“!.. ძირითადი მიზეზი ალბათ — „ქართულ ოცნებასა“ და „საქართველოსთვის“ შეუთანხმებლობა გახდა მმართველი პარტიის მესიჯი „ჩვენ მოღალატე გახარიას გუნდთან კოალიციას არ შევქმნით“.

**ზუგდიდში შეიქმნა ფორს-მაჟორული ვითარება. მმართველი პარტია იმედოვნებდა, რომ ჩატარდებოდა ხელახალი არჩევნები, სადაც „ქართული ოცნება“ დიდი ალბათობით, უმრავლესობას მოიპოვებდა. ყოველივე ამან, შეიძლება ითქვას, „გამოაფხიზლა“ „ნაციონალური მოძრაობა“, ამიტომაც შეეკრნენ გახარიას გუნდს და მიიღეს მათთვის არასასურველი, მძიმე გადაწყვეტილება, მხარი დაუჭირეს გახარიას გუნდის წევრს გიგი ფარულავას თავმჯდომარეობას. ახლა მთავარია, თუ როგორ წარიმართება თანამშრომლობა „ქართული ოცნების“ მერიასა და ოპოზიციურ საკრებულოს შორის, ასეთი სახის თანამშრომლობის გამოცდილება მათ ხომ არ გააჩნიათ!..**

საკრებულოს ახალი თავჯდომარე გიგა ფარულავა წლების განმალობაში „ქართული ოცნების“ წევრი იყო, მუშაობდა ზუგდიდის მერის მოადგილედ და მას არ გაუჭირდება საერთო ენის გამონახვა ყოფილ თანაგუნდელებთან, თუმცა მათთან იძულებით კოალიციაში მყოფი „ნაცები“ რამდენად მისცემენ ამის საშუალებას, მომავალი დაგვანახებს...

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

# ჯუანშერ ბურჭულაძე: მიუნხენის კონფერენციაზე პრემიერის შეხვედრები აუცილებლად გამოიღებს შედეგს



**პრემიერს მიუნხენის კონფერენციის ფარგლებში ჰქონდა შეხვედრები როგორც სახელმწიფოს მეთაურებთან, ასევე კერძო სექტორთან, რაც აუცილებლად გამოიღებს შედეგს,** — ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ჯუანშერ ბურჭულაძემ, პრემიერ-მინისტრის მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაში მონაწილეობის შეფასებისას განაცხადა. მისი თქმით, შეხვედრებზე მთავარი განსახილველი საკითხი რეგიონში არსებული გამოწვევები იყო.

**„რომ შევაჯამოთ პრემიერ-მინისტრისა და ჩვენი დელეგაციის დასწრება მიუნხენის კონფერენციაზე, ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენთვის. პრემიერს ჰქონდა შეხვედრები როგორც სახელმწიფოს მეთაურებთან, ასევე კერძო სექტორთან. ეს აუცილებლად გამოიღებს შედეგს, როგორც საერთშორისო საზოგადოების წინაშე ჩვენი როლის კიდევ ერთხელ ხაზგასმის კუთხით, ასევე, ის ბიზნეს პოტენციალი, რაც საქართველოს გააჩნია, აუცილებლად იქნება გამოყენებული მაქსიმალურად ჩვენი ხელისუფლების პირობებში. მთავარი საკითხი, ძირითადად რის გარშემოც ტრიალებდა თემები, ეს იყო რეგიონში არსებული გამოწვევები. ჩვენ უნდა ვიყოთ ძალიან ფრთხილად საერთაშორისო საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირში და ყველა ნაბიჯი და ის რისკი, რაც შეიძლება ახლდეს რეგიონში განვითარებულ მოვლენებს, უნდა იყოს ზუსტად შეფასებული“.**

# ნატოს კარი ღიაა, მაგრამ...



მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ ნატოს მადრიდის სამიტზე უკრაინამ პასუხი უნდა მიიღოს ალიანსში გაწევრიანების პერსპექტივებთან დაკავშირებით.

**„ჩვენ გვეუბნებიან, რომ ნატოს კარი ღიაა, თუმცა ჯერჯერობით გარეშე პირთათვის შესვლა აკრძალულია. თუ ალიანსის ზოგიერთ წევრს ან ყველა წევრს არ სურს ჩვენი მანდ დანახვა, მაშინ გულწრფელად გვითხარით. ღია კარი კარგია, თუმცა ღია პასუხები გვჭირდება და არა ღია კითხვები წლების განმავლობაში. განა სიმართლის უფლება ჩვენს გაფართოებულ შესაძლებლობებში არ შედის? ამისთვის საუკეთესო დრო მადრიდის შემდეგი სამიტია.“,** — აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა.



# მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დიდი ომი...

**ფაქტები მიუთითებენ, რომ რუსეთი გეგმავს ევროპაში ყველაზე დიდ ომს 1945 წლის შემდეგ.** ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჟურნალისტს მიუნხენიდან ესაუბრა, სადაც მსოფლიო ლიდერები უსაფრთხოების ყოველწლიურ კონფერენციაზე იკრიბებიან. კითხვაზე, მიიჩნევს თუ არა რუსეთის უკრაინაში შეჭრას გარდაუვლად, ჯონსონმა თქვა: **„ვშიშობ, რომ ეს არის ის, რაზეც ფაქტები მიგვანიშნებს“.**

მისივე თქმით, ხალხმა უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ უკრაინელების სიცოცხლის პოტენციური დანაკარგი, არამედ — „ახალგაზრდა რუსებისაც“.

---

რომ პარლამენტისთვის, ბიძინა ივანიშვილისთვის ბოდიში მოეხადა, მას მანდატი ჯიბეში ედებოდაო.

**ეს ლელოქალი ერთ დროს ელჩად გვყავდა ევროპაში! დღეს ის ქართული ოპოზიციის ორაკული და ჭკუის დამრიგებელია!!! ვაი ოპოზიციას და უი პოზიციას!**

მეორე სუპერლიდერმა ხატია დეკანოიძემაც რჩეული ეპითეტები გადმოალაგა: ეს არის სამარცხვინო გადაწყვეტილება; ეს არის ოპოზიციისადმი ხაზგასმით გამოხატული შიში; ეს ქვეყნის კიდევ ერთი სირცხვილიაო. მთავარ სირცხვილად კი საერთაშორისო მასშტაბის პოლიციელ ქალბატონს ის მიაჩნია, რომ ციხეში ზის ქვეყნის მესამე პრეზიდენტი. სამი ოპოზიციონერი დეპუტატისთვის მანდატის ჩამორთმევით კი შეფერხდება საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნა, რომელმაც სააკაშვილის მიმართ განხორციელებული წამების, არაადამიანური მოპყრობის ფაქტები უნდა შეისწავლოსო! რაც შეეხება შალვა ნათელაშვილისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას, ხატიას პოლიტიკური რეპრესიის კლასიკურ ნიმუშად მიაჩნია.

„ლელოში“ გონიერებით გამორჩეულმა დავით უსუფაშვილმაც კი ბრმა მიკერძოება გამოიჩინა და იმ დღეს ქართული პარლამენტარიზმის ისტორიის შავი ფურცელი უწოდა. თანაპარტიელი ბადრი ჯაფარიძე უმანკო კრავად დაგვისახა. შალვა ნათელაშვილის მიმართ გამოჩენილი „უსამართლობის“ გამოც დაღვარა ცრემლები: შალიკოს მიერ საპარლამენტო სხდომების ველური გაცდენები დასაგმობი და დასასჯელი ქმედება კი არ არის, არამედ მის მიერ პარლამენტისთვის გამოცხადებული ბოიკოტი, რაც პოლიტიკური ბრძოლის მთელ მსოფლიოში მიღებული პრაქტიკააო.

დილეგში მყოფი „მომაკვდავი“ მიხეილ სააკაშვილი, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის მტკივნეული ჭიდილის მიუხედავად, ფხიზლად აყურადებს ოპოზიციის ყოველ გაფხაკუნებას, ბუნებრივია, კბილის გაუკვრელად არ გაუშვებდა ამ ლუკმას და აკი არც გაუშვა: არ ვეთანხმები პარლამენტის გადაწყვეტილებას დეპუტატებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებო, რიხიანად განაცხადა და სადღაც გულში დაიმედდა, აცა, იქნებ ჩემმა ამ უკომპრომისობამ ხალხი ქუჩაში გამოიყვანოსო.

მიშას ამ ლოკალურმა გამოხდომამ მისი მრავალფეროვანი სასამართლო გამოხდომები გამახსენა, განსაკუთრებით, ბოლო, როცა მან უკულმა გამოფინა უკრაინის დროშა და უკრაინის ჰიმნი წაიზმუკუნა. ეს იმდენად კომიკური და იმავდროულად ტრაგიკული სანახაობა იყო, რომ ცრემლი მოგადგებოდა, ეს კაცი ერთ დროს ჩვენი პრეზიდენტი იყო და კვლავაც ქვეყნის საჭისკენ მიცოცავს.

რა თქმა უნდა, ხალხი ქუჩაში არ გამოვიდა. სამაგიეროდ, ოპოზიციამ დიდი დანაკარგის ბადრი ჯაფარიძის უკან შესაბრუნებლად ტვინი აქტიურად მოიჭყლიტა და გზა, უფრო სწორად, შესაძლებლობა შვა: 2 აპრილს რუსთავში პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის შუალედური არჩევნები ტარდება და აი, გაერთიანებულმა ოპოზიციამ გადაწყვიტა, თავის ერთადერთ კანდიდატად ბადრი ჯაფარიძე წარადგინოს. ოპოზიციიდან, ჯერჯერობით, მხოლოდ „მოქალაქეებმა“ განაცხადეს, რომ მათ საკუთარი კანდიდატი ეყოლებათ.

ოპოზიციამ კიდევ ერთი ვირეშმაკული საშველი გამოჩხრიკა: პარლამენტს სთხოვს, კანონმდებლობით აღადგინოს ერთ დროს თავის მიერვე ზარ-ზეიმით ჩახსნილი სიები. პაპის ნაჭამმა ტყემალმა ახლა შვილიშვილებს მოჰკვეთა კბილი, გარიცხულ დეპუტატებს სიაში მომდევნოებით ველარ ანაცვლებენ. საპარლამენტო ოპოზიცია ერთბაშად სამი კაცით შემცირდა. და აწრიალდნენ... მაგრამ გვიანია თითზე კბენანი. როგორც კოჭებში ეტყობა, უმრავლესობა არ აპირებს საკანონმდებლო ცვლილებას ჩახსნილ სიებთან დაკავშირებით. სულაც არ მინდა რაიმე გულმოსაკლავის თქმა, მაგრამ თავისთავად მოდის ვითარების შესაფერისი სიტყვები — „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“...

შეფუცხუნდა უმანდატოდ ანუ უხელფასოდ და ლეიბორისტული პარტიის სარჩოს გარეშე შთენილი შალვა ნათელაშვილი. კაცი დაბერდა და ჭკუა ვერ ისწავლა, ისიც კი ვერ მოისაზრა თავის დროზე პარლამენტში ქაღალდი შეეგდო, ბოიკოტს გიცხადებთ და სხდომებს არ დავესწრებიო, რათა თავისი „ბრძოლისთვის“ კანონიერი ხასიათი მიეცა ანუ მართლა ბოიკოტად ჩათვლოდა. ხელფასსარგოს კი ჯიბეში ყოველთვის უბოიკოტოდ იდებდა და ზერექვერე დაქროდა „დაუნ დიქტეიტეს“ ძახილით. ახლა კი აყვირდა, მე კი არ ჩამომართვეს მანდატი, ხალხს ჩააფურთხეს სულშიო, ასეთი რამ ლეიბორისტებისთვის მთელ მსოფლიოში არსად გაუკეთებიათ, ეს უბადრუკი საქართველოა გამონაკლისიო, მაგრამ მე ვიცი, ქარი საიდან უბერავსო. და თავისი გონების ნაჟურით სწორედ რომ გაგვაოც-გაგვაოგნა: ყველაფერი... ბიძინა ივანიშვილმა მომიწყოო. ახლა მაცადოს მაგანო და ისეთი რამ დაახეთქა, მის პერსონალურ მტერს ბიძინას თუ ჭკუა აქვს, სასწრაფოდ ხაბაკი უნდა მოხიკოს და სადღაც ანტარქტიკაში გადაიხვეწოს, უფრო ახლოს — არასდიდებით! აი, რა ბრძანა გულმოსულმა და გონსმოსულმა ბრძენმა შალიკომ: ოპოზიციამ %და პოზიციამაც, თუ ჭკუა აქვს!) დაუყოვნებლივ დატოვოს პარლამენტი, დაყაროს მანდატები და ამით თვალნათლივ აჩვენოს, რომ ეს პარლამენტი არაფერს წარმოადგენს; დასავლეთმა აამოქმედოს სანქციები „ქართული ოცნების“ რეჟიმის წინააღმდეგ, რაც დაგვეხმარება მის დამხობაში; დაბოლოს, ყველანი ქუჩაში (ანუ წამოცვივდით ლოგინებიდან და ეგრევე, ნიფხავპერანგებიანად გამოცვივდით გარეთო)!

**ეტყობა, შალიკო ისე შეაზანზარა თავისი კეთილდღეობის: ოფისის, ფანჩატურისა და გუგავას დაკარგვის რეალურმა შიშმა, რომ გადაწყვიტა თვითონ ჩაუდგეს სათავეში მოსაწყვეტად მომწიფებულ რევოლუციას. უფრთხილდი რეჟიმო, ლეიბორისტები უკვე ქუჩაში არიან, ლეიბორისტებმა ნაჯახი შემართეს!**

**ალეკო ასლანიშვილი**

# ვლადიმერ პუტინი: ...შეიძლება დარტყმა განვახორციელოთ იმ ქვეყანაზე, რომელიც ამ ომის პროვოცირებას ახდენს...



**პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობათა მკვლევარი თამარ კიკნაძე ფიქრობს, რომ არსებობს შანსი, უკრაინამ უარი თქვას ნატოში გაწევრებაზე. მით უმეტეს, როდესაც ნატოს ყველა წევრი — საფრანგეთი და უნგრეთი არ თანხმდება უკრაინის გაწევრებაზე. დასავლეთში არსებული ურთიერთგამომრიცხავი განცხადებებიდან გამომდინარე, პოლიტოლოგი ამბობს, რომ დიდი ომი არ იქნება, რადგან სამხედრო კონფლიქტი განსაკუთრებით დასავლეთს არ აწყობს. შესაბამისად, პროცესი მოლაპარაკებით დამთავრდება.**



**— ქალბატონო თამარ, საინტერესოდ ვითარდება პროცესები, იმის მიუხედავად, რომ ყველა ელოდება რუსეთის ოფიციალურ განაცხადებას უკრაინასთან სამხედრო კონფლიქტის შესახებ, პირიქით, რუსეთმა სამხედრო წვრთნები დასრულებულად გამოაცხადა და დაიწყო ჯარის გაყვანა. ამას წინ უსწრებდა დიდ ბრიტანეთში უკრაინის ელჩის, ვადიმ პრისტაიკოს განცხადება, რომ უკრაინას შეუძლია ნატოში გაწევრებაზე უარი თქვას, თუ გარემოებები ამას აიძულებს. როგორ ფიქრობთ, რის სანაცვლოდ შეიძლება რუსეთმა უარი ათქმევინოს უკრაინას ნატოზე და საერთოდ, არის ამის შანსი?**

— რა თქმა უნდა, შანსი დიდია. რუსეთი და უკრაინა, ფაქტობრივად, ერთი სამყაროს ხალხია, ანუ რუსული სამყაროს ხალხია. იგივე პოლიტიკურ ელიტას რომ გადავხედოთ როგორც რუსეთში, ასევე უკრაინაში ვნახავთ, რომ რუსულ ელიტაში ძალიან ბევრია უკრაინული გვარის, ისევე როგორც უკრაინულ ელიტაში. ნახეთ, როგორი ვითარებაა — გლობალური დაპირისპირება და უკრაინა არის საბაბი, ამას ძალიან კარგად ხვდება როგორც უკრაინა, ასევე რუსეთი. ამ პროცესში ძალიან სიმპტომატურია ისიც, რომ დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობს მოლაპარაკებები და ვაჭრობა.

**— შესაძლებელია ვაჭრობის თემა იყოს ის, რასაც ითხოვს რუსეთი — უკრაინა გადახედავს ნატოში გაწევრების ამბიციას?**

— რა თქმა უნდა, და ვაჭრობა უკვე მიდის დასავლეთთან. მივადევნოთ თვალი, ჯერ იყო მაკრონის ვიზიტი რუსეთში, შემდეგ შედგა ორბანის ვიზიტი. დასავლეთს არა აქვს ერთი მიზანი. ნატოში გაწევრება კონსენსუსის გზით ხდება. მაგრამ ვხედავთ, რომ ორბანი და მაკრონი წინააღმდეგი არიან უკრაინის გაწევრების. დასავლეთი არ არის ერთიანი.

**— საფრანგეთის პრეზიდენტმა თავისი გეგმა შესთავაზა და თქვა, რომ ევროპის უსაფრთხოებაში აუცილებლად უნდა მოვიაზროთ რუსეთი. ეს მაშინ, როდესაც ევროპა და აშშ რუსეთს ადანაშაულებს საომარი მოქმედებების პროვოცირებაში და ფინანსური სანქციებით ემუქრებიან...**

— ისიც ხომ გასაგებია, რომ ეს ფინანსური სანქციები დიდად არ დააზარალებს რუსეთს?! სხვათა შორის, ჩინეთმა განაცხადა, რომ ოლიმპიური თამაშების შემდეგ თავის ხედვას წარმოადგენს საერთაშორისო პერსინგთან დაკავშირებით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

იხ. 8 გვ.

# კეზერაშვილი, „ბინძური ფული“, ჩერგოლეიშვილი, კილაძე, „ნაცსექტა“ - შეტევა ყველა მხრიდან - მელია დიდ შარშია!..





**FOR.GE რამდენიმე დღის წინ დაბეჯითებით წერდა, რომ ნიკა მელიას ახალი დამფინანსებელი დავით კეზერაშვილი ჰყავდა. აღნიშნული ინფორმაცია უკვე გიგა ბოკერიას მეუღლემ, ჟურნალისტმა თამარ ჩერგოლეიშვილმა დაადასტურა. ეს ინფორმაცია გამოცემას სანდო წყარომ მიაწოდა და განუცხადა, რომ მელიას გაყოყოჩების მთავარი მიზეზი კეზერაშვილის ფავორიტობა გახდა. როგორც ირკვევა, ბიზნესმენმა და ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა, რომელიც სავარაუდოდ, სწორედ მინისტრობის დროს ქვეყნისთვის მოპარული ფულით გამდიდრდა ევროპულ საქართველოზე“ უარი თქვა. მისი ახალი პოლიტიკური რჩეული ნიკა მელია გახდა, რომელსაც ჩერგოლეიშვილის მტკიცებით, საარჩევნო კამპანიასაც კი უფინანსებდა.**

ჩერგოლეიშვილმა ნიკა მელიას 5 წლის წინ „ტვ პირველთან“ გაკეთებული განცხადება გაუხსენა:

**„არ მაქვს მორალური უფლება ვაკრიტიკო ფარცხალაძე სამართლიანად, როდესაც ვიცი, რომ მილიონებს შოულობს, რადგან ასევე ვიცი, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ წლების წინ იყო დავით კეზერაშვილი, რომელმაც სრულიად გაურკვევლად — ყაჩაღობით, ქურდობით და ძარცვით იშოვა მილიონები, ახლა კი ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილ „ევროპულ საქართველოს“ აფინანსებს“,** — ნიკა მელიამ ეს განცხადება 2017 წელს „ტვ პირველის“ ეთერში გააკეთა, რამაც ჩერგოლეიშვილს მიზეზი მისცა, მელიასთვის სამარცხვინო ეძახა.

**„პატივს არ გვცემო. ერთი მიზეზი მითხარით ან ამას, ან აქ დასახელებულ პიროვნებას, ან ვინც ამ ხალხს საიმედოდ თვლის, პატივი რატომ უნდა ვცე? მელიას არჩევნები კეზერაშვილმა დააფინანსა (მისი ნებაა და რაც უნდა ის ქნას, ეგ მე არ მეკითხება). უბრალოდ, პირობას უყენებდა მელიას, ბოკერია მოტეხე თავისი პროექტიდან, თორემ ფულს არ მოგცემო. (კომპლექსები და ეგო აწვალებდა). ასეთები არიან და პატივი გვეციო... პატივს კი არ გცემთ, სამარცხვინოებად გთვლით“,** — წერს ჩერგოლეიშვილი სოციალურ ქსელში.

„ნაციონალები“ აღნიშნულ განცხადებას უკვე აფასებენ. ენმ-ის წევრი **დავით კირკიტაძე: „ნაციონალური მოძრაობის“ დაფინანსების წყაროები არის გამჭვირვალე და გამოქვეყნებული აქვს აუდიტის სამსახურს. რატომ აკეთებს ეს ადამიანი (თამარ ჩერგოლეიშვილი) მსგავს განცხადებას და რა მიზანი აქვს, ვერ ვხვდები, თუმცა, ფაქტია, რომ მსგავსი დაფინანსება „ნაციონალურ მოძრაობაში“ ნამდვილად არ გვქონია, მათ, ვინც მერობის კანდიდატები ვიყავით, იმ ადამიანისგან, ვისზეც ქალბატონი ჩერგოლეიშვილი წერს. გიგა ბოკერია დიდი ხანია ჩვენი პარტიის წევრი არ არის, საიდან უნდა ჩავხსნათ ვერ ვხვდები?!“** — განაცხადა დავით კირკიტაძემ.



ჩერგოლეიშვილის განცხადებას მმართველი გუნდის წევრებიც ეხმაურებიან. ხელისუფლების წევრების შეფასებით, აღნიშნული ინფორმაცია სიახლეს არ წარმოადგენს, თუმცა მმართველი პარტია კეზერაშვილის ფინანსების წარმომავლობას ეჭვქვეშ აყენებს.

**„ის კი არ არის პრობლემა, რომ ვიღაც ბიზნესმენი აფინანსებს პოლიტიკურ პარტიას, აქ პრობლემაა იმაში, რომ ფული, რომელიც არის გაურკვეველი წარმოშობის და, დიდი ალბათობით, არის საქართველოდან გატანილი თანხა უკანონოდ იმ თავდაცვის მინისტრის მიერ, რომელიც წაგებული ომის თავდაცვის მინისტრი იყო, ეს არის ტრაგედია ქვეყნისთვის, ჩვენი საზოგადოებისთვის, რომ ასეთი ფულით ხდება დღეს პოლიტიკური პარტიისა და მედიის დაფინანსება“,** — განაცხადა **ირაკლი ქადაგიშვილმა**.

ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** ვარაუდობს, რომ მას შემდეგ, რაც დავით კეზერაშვილმა თავისი დაფინანსება ნიკა მელიაზე გადაიტანა, „ევროპულმა საქართველომ“ მასზე თავდასხმა დაიწყო. ქართველიშვილი ამბობს, რომ უპრინციპო და უნებისყოფო მელიასგან გასაკვირი არ იყო, რომ კეზერაშვილს ფულზე უარს არ ეტყოდა. ეს ვარაუდი ქართველიშვილმა რამდენიმე დღის წინ გამოთქვა, რადგან ეჭვი სწორედ მას შემდეგ გაუჩნდა, რაც გაყოყოჩებულმა მელიამ მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლის წამგებიანობაზე საჯაროდ დაიწყო საუბარი.

**„ნაციონალურ მოძრაობაში“ ახლა ერთმანეთს იმ დონეზე გადაემტერნენ და ტალახის სროლა დაიწყეს, რომ უბრალოდ, ირაკლი კობახიძის განცხადებას დავესესხები, ენმ თვითლიკვიდაციის გზას დაადგა. რა თქმა უნდა, მისი დასუსტება ხელისუფლების დღის წესრიგში შედის, რადგან ეს არის მავნებლების ორგანიზაცია, რომელიც ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს სჩადის. ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ 2024 წლამდე პარტია ნაკუწებად დაიშალოს. ამის ნათელი მაგალითია გიგა ბოკერიას მეუღლის თამარ ჩერგოლეიშვილის განცხადებები. ის ამბობს, რომ მელიას საარჩევნო კამპანიას დავით კეზერაშვილი აფინანსებდა. ეს ვარაუდი თქვენს გამოცემასთან ზუსტად რამდენიმე დღის წინ გამოვთქვი და აგერ ჩერგოლეიშვილმაც დაადასტურა. მელიას ორსახოვნება უკვე ნანახი გვაქვს. მისი განცხადებები და ქმედება თანხვედრაში არასდროს მოდის. ახლა მელიასთვის —კეზერაშვილის ბინძურ ფულს“, როგორც ის 5 წლის წინ ამტკიცებდა, სუნი აღარ აქვს. კეზერაშვილს ეუბნებოდა, — შე ბინძურო „ევროპელებს“ როგორ აფინანსებო, მაგრამ ახლა მისი ფულის აღებაზე ხელიც კი არ აუკანკალდა“,** — ამბობს **ქართველიშვილი.**

მისივე თქმით, როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილმა ციხიდან დავით კეზერაშვილზე შურისძიების მიზნით, მასზე თავდასხმის ბრძანება გასცა. სწორედ ამას უკავშირებს ქართველიშვილი ჟურნალისტ ელისო კილაძის განცხადებებს, რომელიც კეზერაშვილს თავს დაესხა.

**„კილაძე დავით კეზერაშვილს „ქოლ ცენტრებთან“ დაკავშირებულ პირამიდის შექმნაში ადანაშაულებს. როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილისგან პირდაპირ დავალება მიიღო, რომ კეზერაშვილს დასცხოს. ოდესღაც ერთიანი პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ ერთდროულად თვალსა და ხელს შუა იხლიჩება. ეს უბრალოდ ფაქტია და ამას ვერავინ გაექცევა. კეზერაშვილისთვის „ევროპელებზე“ დადებული ფსონი წარუმატებელი აღმოჩნდა და კარგადაც გაყვლიფეს. იგივე მოუვა ნიკა მელიასთან დაკავშირებითაც. ამ ხალხმა ერთი რამ ვერ შეიგნო, რომ ენმ-ის მხარდამჭერები ე.წ. სექტაა, რომლისთვისაც ამოსავალი წერტილი მიხეილ სააკაშვილია. ამიტომ ეს უპრინციპო და საკუთარი სიტყვის არაპატივისმცემელი მელია ვის რაში ანაღვლებს?**

**კი ბატონო, ალბათ, რაღაცა პროცენტი აქვს, მაგრამ მასაც „ევროპელებივით“ ბედი ეწევა, როგორც კი „ნაციონალებისგან“ დისტანცირდება. ამ ადამიანს რა პოლიტიკური მომავალი უნდა ჰქონდეს? კეზერაშვილზე 5 წლის წინ ამბობდნენ ბინძური ფულით გამდიდრდაო და ახლა ამ ფულს თავად იჯიბავს. ამიტომაც არის, რომ მელია გაყოყოჩებულია და ვნახეთ, სააკაშვილზე როგორც ლაპარაკობს. კეზერაშვილისგან ფულს იღებს და ენმ-იდან გამოგდების აღარ ეშინია“,** — ამბობს დავით ქართველიშვილი.

**ლიკა ბერიკაშვილი**

# გრიგოლ ონიანი:

# დიდი რომ ერქვა პატარა გორს, ის დრო წავიდა?!..



## ცრუქართველთაგან სტალინის სახელის გაბიაბრუება ვაი ჭკუისაგანაა!..



## გორის მერმა, არასამთავრობო სექტორს ბელადის ფიგურის ჩანაცვლებაზე მხარდაჭერა აღუთქვა

(პირველი გვერდიდან)

**გორელებო! ქალაქის მერთან ერთად, მე, როგორც საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარე, ზემოაღნიშნულ პროექტს მხარს ვუჭერ შემდეგ მოსაზრებათა გამო:**

**1. გორელები თვითონ არ არიან დარწმუნებულნი, იოსებ ჯუღაშვილი იყო თუ არა ეროვნებით ქართველი, რაც იმით არის განპირობებული, რომ გორის მცხოვრებთა უმრავლესობას ეროვნებით ოსები და სომხები წარმოადგენენ. ამდენად, უმრავლესობის გავლენა უმცირესობაზე, ქმნის იმის ნოყიერ ნიადაგს, რომ სტალინის ეროვნულობა ეჭვქვეშ დადგეს.**

**2. რაც შეეხება სტალინის წარმომავლობას და მის სადაურობას, ამაზე მეცნიერულ დასკვნებს აკეთებს დიდი ივანე ჯავახიშვილი თავის ნაშრომში „ბელადის გვარის სადაურობისათვის“, სადაც მიუთითებს, რომ ჯუღაშვილები ქიზიყური გვარის შთამომავლები არიან და მისი წინაპრები წამოსულები არიან სოფელ ჯუგაანიდან, საიდანაც წარმოდგება თვითონ გვარის ფუძე „ჯუგა“.**

დიდი ივანე ჯავახიშვილის კვლევა რომ უტყუარია, ამას სტალინის სიტყვებიც ამტკიცებს, — ის ხომ: „ძირის ძირად ქიზიყელია“. (აკაკი ვასაძე, 1946 წელი. „სტალინი“)

**სვეტლანა ალილუევა თავის წიგნში „20 წერილი მეგობარს“ წერს: „1951 წელს ლიკანში დასვენების დროს, მამამ გორის ნახვა მოისურვა. მანქანაში ჩავსხედით და ლიკანიდან გეზი გორისაკენ ავიღეთ. მამა არ საუბრობდა, ღრმა ფიქრებში იყო წასული. გორის დაღმართს რომ ჩავუყევით, ერთ-ერთ მოსახვევში, საიდანაც ყველაზე კარგად მოჩანდა გორი, მანქანა გააჩერა და გადავიდა. ვუყურებდი მის ნაღვლიან სახეს და ვფიქრობდი ამომეცმნო მისი განცდები. 5-10 წუთის შემდეგ, ხელი ჩაიქნია, მობრუნდა და მანქანაში ჩაჯდა. მძღოლს უკან, ლიკანისაკენ დაბრუნება უბრძანა. ასე დამთავრდა ჩვენი მოგზაურობა ლიკანიდან გორში“.**

ქუთაისში კი, აკაკი მგელაძის მოგონებების მიხედვით, გელათში მისული სტალინი, რომლის გაჩერების დრო 20 წუთით იყო განსაზღვრული, 2 საათამდე გაგრძელდა. აი, როგორ აღწერს ამ მოგზაურობას აკაკი მგელაძე:

— მატარებლიდან მონასტრის ეზოში ჩამოვედით. სტალინმა ხანმოკლე დრო დაუთმო მონასტრის გარედან დათვალიერებას, შემდეგ კი ისე გაიარა, რომ დიდი მეფე დავითის საფლავის ქვას ფეხი არ დაადგა. მონასტრის შიდა მოედანზე სტალინი საკმარისი დრო გაჩერდა, რის შემდეგაც გეზი მთავარი ელესიის ღია კარებისაკენ აიღო. თანმხლები პირები ეზოში ვიდექით, როდესაც სტალინმა კიბეები აიარა, ვიდრე კარებში შევიდოდა, იგრძნო რა, რომ უკან აღარავინ მიჰყვებოდა, მოიხედა და შემოგვძახა — თქვენ ღმერთი აღარა გწამთ, თუ როგორ არის საქმე?! ჩვენ სწრაფად ავირბინეთ კიბეებზე და მონასტრის კარებში ერთად შევედით. შესვლისთანავე ყველა ერთად გავჩერდით. სტალინი დიდი გულმოდგინებით ათვალიერებდა ტაძარს, გუმბათიდან მოყოლებული იატაკამდე. შემდეგ სვლა განაგრძო მარჯვნიდან მარცხნივ და ეკლესიის შიდა პარამეტრი შემოიარა, ყველა ხატთან გაჩერდა, ხელს ადებბდა და ასე შემოიარა მთელი ეკლეესიის ხატ-ჯვრები.

გარეთ გამოვედით. იქ, სადაც ბუნებამ თითქოს განგებ დატოვა ღია ადგილი, საიდანაც კარგად მოჩანს მთელი ქუთაისის ხედი, იმ ადგილს მიაშურა და ქალაქს დაუწყო თვალისმოუშორებლად ყურება. ცოტა ხნის შემდეგ მომმართა (აკ. მგელაძე) — თუ შესაძლებელია, იქნებ სკამი მოგვიტანონ. მიუხედავად სტალინის ჩვევისა მუდმივი სიარულის გამო, რატომღაც იმ მომენტში ჩამოჯდომა ისურვა. სკამზე ჩამოჯდა პირით ქუთაისისაკენ. არ საუბრობდა. მონასტერში უკვე 1 საათი გავატარეთ. სხვა ადგილების ნახვას ველარ მოვასწრებდით, ამიტომ სტალინს მოვახსენე, რომ:

— დრო ბევრად გადავაცილეთ, ამხანაგო სტალინ. გრაფიკიდან ვვარდებით.

— ამხანაგო მგელაძე, ასე სრულფასოვნად არსად არ ჩამისუნთქავს ჰაერი და არ დამისვენია. ნუ მომაკლებთ ამ სიამოვნებას. დავრჩეთ სანამდეც საშუალება გვაქვს.

დაჟინებით ქუთაისს დაჰყურებდა, დრო და დრო კი მონასტრის კომპლექსს შემოხედავდა. საკმარისი დრო გავიდა. სტალინი წამოდგა და მომიახლოვდა:

— ამხანაგო მგელაძე, აი, აქ, სადაც ეხლა ჩვენ ვდგავართ, არ შეიძლება ერთი პატარა ორსართულიანი შენობა ჩავდგათ, დაახლოებით ათკაციანი, სამი ზევით, შვიდი ქვევით. შენობა ისეთი უნდა იყოს, რომ სრულიად შეერწყას მონასტრის კომპლექსს. სამშენებლო მასალა და სტრუქტურა ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს არსებულ შენობათა ანსამბლს. იქნება ნახოთ არქიტექტორი, რომელიც გამოხაზავს და შეათანაწყობს შენობას არსებულ განაშენიანებასთან.

— ამხანაგო სტალინ, აქ თან გვახლავს ტყიბულის მშენებლობის მთავარი არქიტექტორი, რომლის განაშენიანებაც თქვენ მოგეწონათ. ახლავე თქვენთან ერთად მივცემ აღნიშნულ დავალებას.

სტალინმა ხელი ჩამოართვა სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსს პეტრე ჩხეიძეს და ოდნავ გვერდზე გახმობით, სრულიად დაბალ ხმაზე, რაღაც გარკვეული დავალება მისცა. პროექტი და ხარჯთაღრიცხვა სასწრაფოდ შედგა. მოიძებნა კარიერი შესაფერისი ქვის დასამზადებლად...

* * *

**აკაკი მგელაძესთან ჩემი მუშაობის პერიოდში, ხშირად ვუბრუნდებოდით როგორც სტალინის თემას, ასევე გელათის მოვლენებს და მგელაძე დამაჯერებლად ირწმუნებოდა, რომ სტალინს სიბერე დიდი მეფის დავითის მიერ აშენებულ მონასტერში უნდა დაესრულებინა. ეჭვიანობდა მხოლოდ იმას, თუ რა რანგში იქნებოდა იგი მონასტრის მრევლი.**

**აკაკი მგელაძე მეუბნებოდა: მე სტალინს საქართველოს ბევრ ღირშესანიშნაობებზე ვახლდი და ვიცი, მას არსად არ გამოუმჟღავნებია სისხლის ძივილი ისე, როგორც ეს გელათში გამოხატა.**

სტალინი საქართველოს კუთხეთა დახასიათების მიხედვით, გამორჩეულად მოიხსენიებდა გურულებს, რომლებსაც ყველაზე მაღლა აყენებდა საქართველოში მცხოვრებ კუთხეთა შორის. (აკაკი ვასაძე. „სტალინი“)

ასე რომ, სტალინის ნაშრომების გულდაგულ შესწავლისა, მასზე დაწერილი მოგონებების თუ სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობისა, არსად არ შემხვედრია, რომ ის განსაკუთრებულად ხაზს უსვამდეს ქართლს და, კერძოდ, გორის სიყვარულს. სტალინი შეგნებულად თავს არიდებს განსაკუთრებულად გორზე საუბარს და თბილისის ცხოვრების წესის განმარტების დროს, მას მხედველობაში აქვს ქართლის ხასიათი. როგორც თვითონ ამბობს — „ჩემდა საუბედუროდ, კახეთში საერთოდ არ ვარ ნამყოფიო“.

თბილისს, განზოგადოებულად, ქართლის ცხოვრების წესთან აჯერებს და ასე ამუნათებს მისთვის ეგზომ საყვარელ „მარგალიტს“ აკაკი ვასაძეს, რომელსაც თვით აკაკი ვასაძე ასე იგონებს თავის წიგნში „სტალინი“.

„— შენმა მზემ, აი! — რა წითელი კოჭი შენა მყავხარ, რომ თბილისში მუშაობა და მოღვაწეობა არ გიჭირდეს? კი გეტყობა კერკეტა კაკალივით გამძლე რომ ბრძანდები, მაგრამ ხომ გაგიგია, რა ქნას კარგმა მონარდემაო... თბილისში, ჩემო კარგო, შეიძლება ისე ულვინოდ აგირიონ გზა-კვალი, ისე უმიზნოდ გაგრიყონ და მოგიცილონ თავიდან იმათ, ვისთვისაც ილვწი, წვალობ და იბრძვი, რომ სადღაც გადაკარგულში უნებურად ამოჰყოფ თავს და, თუ ისევ დიდ ნებისყოფასთან, დიდ ძალასთან ერთად, დროზე შაში არ დაგიჯდა, სამუდამოდ გადაგკარგონ... შენ კიდევ ბრტყელ-ბრტყელად გაიძახი, ბედნიერი ვარ თბილისში რომ ვმოღვაწეობო!

მივხვდი „გულწრფელობა“ დამიწუნა და შერცხვენილმა თავი ჩავღუნე.

— აი, მე გიამბობ ერთ ამბავს. მეც მქონდა ბედნიერება თბილისში მემუშავა. გაცხარებულ დისკუსიაში მენშევიკების უნიათობა რამდენჯერ გამოვააშკარავე, რამდენჯერ მიწაზე ორთავ ბეჭით დავაკარი ცნობილი ორატორები, მაგრამ... წარმოიდგინე, მუშებმა არ მისმინეს და ბაქოში გადამისროლეს ზოგიერთმა რევოლუციონერმა მოღვაწეებმა. ჰმ, რა მინდოდა მე ბაქოში?!

— თქვენ გაგაგდეს? — ისევ გულუბრყვილოდ შევეკითხე.

— დიახ, დიახ! მე მარტო მენშევიკებს კი არ ვუტევდი, თვით მუშებს შორის წვრილ-ბურჟუაზიული თვისებების მამხილებელიც ვიყავი, თვითონ თბილისის მუშათა კლასის წარმომადგენლებსაც ვამხელდი არარევოლუციურ გადახრებში და, მაინცდამაინც არ მოვეწონე.

— კარგი, კარგი, გეტყობა, არცთუ დიდ სიამოვნებას გგვრის ჩემი კითხვები და თბილისის უარყოფით მხარეებზე საუბარი. მესმის, ახსნა-განმარტება არაა საჭირო. მე კარგად ვხედავ რანაირი კაციცა ხარ. კარგა მაგრადაც გიჭირს, ალბათ, მაგრამ მაინც ჯიუტად ექაჩები, ხომ?! ხშირად თვალებსაც ხუჭავ და სმენასაც იხშობ... ესეც კარგია, თუ დაგაცლიან. მაგრამ მაინც, ზოგჯერ მიმოიხედე, სიფხიზლე არ დაკარგო...

**ხო, ასე უნდა, ასე... თუ მიზანი წმინდა გაქვს და ხალხისთვის სასარგებლო, თუ ამ მიზანში მდგომარეობს შენი სიცოცხლე, შეუპოვრად გასწი წინ, — შეიძლება უსამართლოდ დაგამცირონ, შეიძლება მუცელზე ხოხვაც მოგიხდეს, მაინც გახსნი და, გამარჯვება შენი იქნება. თუნდაც იმიტომ იქნება შენი, რომ როგორც გწამდა, ისე იცხოვრე, როგორც ფიქრობდი, ისე იარე. ცხოვრება დიდი მორევია და, ხელ-ფეხი მაგრად უნდა მოიძნიო, შეუპოვრად უნდა იბრძოლო მიზნისათვის, რომ გადარჩე და გაიმარჯვო.**

ამ სიტყვებს სტალინი როგორღაც ჟინიანად, თავისივე სულის ჩაღრმავებით და, თითქოს მარტო ჩემთვის კი არა, საერთოდ ამბობდა ფიქრებში გართული. მაგრამ, იმავე დროს, მის სიტყვებში რაღაც მამობრივი დარიგება თუ მზრუნველობა მენიშნა და,უკანასკნელი ფრაზა როცა მითხრა, გონებაში ელვასავით გამისხლტა მამაჩემი, რომელიც, ახალგაზრდობაში, რამე სიძნელეს როცა გადავეყრებოდი, ასე დინჯად და ფიქრიანად მარიგებდა ჭკუას“.

სტალინის შეფასებიდან ბევრი არაფერი შეცვლილა, როგორც თბილისური, ანუ ქართლული, თუ ზოგად ქართული ცხოვრებიდან. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ქართველ ახალგაზრდობას არ უყვარს სტალინი. საქართველოში დიდი კაცის გამოჩენაზე ერთობ კანონზომიერად შენიშნა დიდმა კონსტანტინე გამსახურდიამ. ქართველი კაცი ჯიუტად ექცევა მსოფლიო მოაზროვნეთა აზრს, ადვილად ეჭიდება ამერიკულ დოლარებს, რომელთაც სურთ ძველ ბრძენ ქართველთა დავიწყება და თავიანთი დოლარებით გამოზრდილი ორნაირსქესიანთა გამრავლება. ამის ტიპიური მაგალითია ქალაქი გორი.

გორელების უმრავლესობას რომ ნამდვილი აზროვნების უნარი შერჩენოდათ, ხომ ნახავდნენ სტალინის სიბრძნის ნაყოფს — ტირიფონის სარწყავ სისტემას, რომელმაც შექმნა მსოფლიოში მეორე სემირამიდას ბაღები დიდი „ქართლის ბაღის“ სახით. იქ ხომ დღეს არაფერია. ტუფის ქვით ნაშენი გაღმა გორი თავისი სამშობლოს გიგანტური კომბინატით, რომელმაც სიცოცხლე შთაბერა შიდა ქართლს, ანდა შაქრის კომბინატი, რომელმაც გადაარჩინა დიდ სამამულო ომში არა მარტო ქართლი, არამედ მთელი საქართველო.

და ეს ღმერთკაცი, კრემლში მობინადრე ღმერთი, უნდა ჩაანაცვლოთ და მის ავტორიტეტამდე უნდა აიყვანოთ, გორელებო(!), სხვა გორელი ან ქართლის მცხოვრები?!

აი, ნახეთ როგორ თათბირობენ გორის მერიაში, თუ როგორ უნდა ჩაანაცვლონ სტალინი, რომელზედაც უამრავი ზღაპარი და ცრუ დიდებაა შექმნილი — გმირი მარო მაყაშვილით ან ახლად ძეგლადდადგმულ ვინმე პროვიზორით, რომელთა სახელებიც თურმე მეტად შეუწყობს ხელს გორის ეკონომიკურ განვითარებას, ვიდრე სტალინის სახელი.

ალექსანდრე მაკედონელს ყველაზე დაბალი რეიტინგი თავის დაბადების ადგილას — პელაში ჰქონია თურმე.

ნაპოლეონ ბონაპარტს არა მგონია უფრო მეტად აფასებდნენ კორსიკაში, ვიდრე საფრანგეთში. არა მგონია, გორში,სტალინის სახლ-მუზეუმში, ვინმემ 21 დკემბერს 50 წითელი მიხაკი მიიტანოს იმისგან განსხვავებით, რომ მოსკოვში სტალინის საფლავზე, მისი გარდაცვალების თუ დაბადების დღეზე, 50 ათასი მიხაკი იყრის თავს და ამდენივე ცრემლი იღვრება სამართლიანობისთვის მებრძოლის საფლავზე ყოველწლიურად.

**გრცხვენოდეთ, ქართველნო! თქვენ კი გორელებო, გამონაკლისების გარდა, ღირსი არ ხართ სტალინის დაბადების ადგილზე ცხოვრობდეთ და „მოღვაწეობდეთ“.**

**შენ კი, ქართული სპორტის ფალავანო და ქალაქის მერო, შენი ჭიდაობის ამბებს სულ მალე დაივიწყებს ხალხი და არ დაივიწყებს იმას, რაც შენ წამოიწყე და შენი შთამომავლობა ცნობილი იქნება, როგორც ქრისტეს უზანგის მკვნეტელის შთამომავლობა!**

**თბილისი-გორი**
**20 თებერვალი, 2022 წ.**

**P.S.** გორის გაგრია მერისგან წახალისებულმა გორელმა ტეტია ახალგაზრდებმა სტალინის ახლად დადგმული ძეგლი წითლად შეღებეს.

# 4-დღიანი სამუშაო კვირა – პერსპექტივა და რეალობა საქართველოში

**დღიურად სამუშაო საათებისა და კვირაში სამუშაო დღეების რაოდენობა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. სამუშაო დროის ხანგრძლივობა ყოველთვის შედეგთან პირდაპირპროპორციული არ არის. ტრაქტორით 1 საათში უფრო დიდი ორმოს ამოთხრა შეიძლება, ვიდრე ნიჩბით 10 საათში; იმ სამუშაოს, რომლის შესრულებასაც კალკულატორით 1 დღე სჭირდება, კომპიუტერით შეიძლება 15 წუთში შესრულდეს. გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე 6-დღიანი სამუშაო კვირა სტანდარტულად ითვლებოდა. დღეს ასეთად 5-დღიანი სამუშაო კვირა მიიჩნევა, თუმცა 4-დღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის პროცესი უკვე დაწყებულია. ტექნოლოგიების გამოყენებით ინოვაციურმა მიდგომამ შესაძლოა საქართველოშიც გაამართლოს, მაგრამ განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ეს უფრო ძნელად მისაღწევი იქნება.**

8-საათიანი სამუშაო დღისთვის ბრძოლა XIX საუკუნეში დაიწყო, იმ პერიოდში, როდესაც ქარხნებში 8-10 წლის ბავშვები მიზერული ანაზღაურების სანაცვლოდ კვირაში 6 დღე, დღეში 10-12 საათი მუშაობდნენ. მძიმე სამუშაოს ალტერნატივა ფერმა და პლანტაციები იყო, რასაც ბევრი ისევ ქარხანას ამჯობინებდა. მაშინ როცა ფეოდალიზმი, ხოლო შეერთებულ შტატებში მონათმფლობელობა ახალი გაუქმებული იყო, დღევანდელი გადმოსახედიდან აუტანელ პირობებში, მაგრამ მაინც ნებაყოფლობითი მუშაობა პროგრესად ითვლებოდა. ტექნოლოგიურმა წინსვლამ თანდათან სამუშაო პირობების გაუმჯობესებაც განაპირობა. ამ მიზნის მისაღწევად მხოლოდ მარქსისტული შეძახილები, გაფიცვები, საბოტაჟი და ბარიკადები არასაკმარისი იქნებოდა ან არაფერი შეიცვლებოდა, ან შრომის ეფექტიანობა შემცირდებოდა, რაც ჯერ წარმოების ხარჯს, შემდეგ კი საბოლოო პროდუქციის ფასს გაზრდიდა, ეს კი პირველ რიგში მძიმედ ისევ და ისევ სოციალურად ყველაზე მოწყვლად ფენას დააზარალებდა.

XX და XXI საუკუნეში ეფექტიანობის გაზომვის კრიტერიუმები შეიცვალა. დასვენებული მუშა თუ პირობითად 1 სთ-ში 100 დეტალს ამზადებდა, დაღლილი კი 80-ს, შემოქმედებით საქმიანობაში მარგი ქმედების კოეფიციენტი ბევრად უფრო დიდი პროცენტით კლებულობდა. მენეჯერული გადაწყვეტილების მიღება, კონცეფციის ცვლილება, ახალი პროდუქციის მახასიათებლების მოფიქრება, ახალი თანამშრომლების შერჩევა, სარეკლამო რგოლის შინაარსის მოფიქრება, ლოგოს დიზაინი... ამ ყველაფრისთვის მხოლოდ სამუშაო დრო არ კმარა და 8-საათიანი მუშაობით 4-საათიან მუშაობასთან შედარებით ყოველთვის 2-ჯერ მეტი შედეგი არ დაიდება.

**ილონ მასკმა 10-15 წლის წინ ელექტრომობილები პრაქტიკულად მკვდრეთით აღადგინა, იმ პერიოდში მასკი კვირაში 100 საათს მუშაობდა. საავტომობილო ინდუსტრიის ფუნდამენტური ცვლილების სურვილი და რწმენა გაჩნდა. ასეთ დროს მოტივაცია ხელფასის მომატებასთან, ბონუსის ჩარიცხვასთან ან თუნდაც მალდივებზე დასვენების საგზურის ჩუქებასთან შედარებით შეუდარებლად მაღალია.**

**მასკის მსგავსი ან უფრო მაღალი მოტივაცია შეიძლება ჰქონდეს ასევე აღმოჩენაზე ან გამოგონებაზე მომუშავე მეცნიერს, დიდ ხელოვანს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერს, კონსტიტუციის ან დამოუკიდებლობის დეკლარაციის დამწერს. ასეთ დროს მიზანი იმდენად დიდია, რომ ადამიანი ოჯახისადმი ყურადღების შემცირებას, ღამეების თენებას, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გაწირვას თანხმდება, მაგრამ უმეტესობისთვის ოჯახი, მეგობრები, დასვენება მაინც ძალიან მნიშვნელოვანია და მათი ნაკლებობა პროდუქტიულობას ამცირებს.**



# „ადუღებული ეკონომიკა“ და... ერთ წელიწადში 116 ათასით გაზრდილი სოციალურად დაუცველი!

წლიური სამუშაო საათების ხანგრძლივობა 1979-დან 2015 წლამდე შეერთებულ შტატებში უმნიშვნელოდ 2%-ით, 1830-დან 1790-მდე შემცირდა, რაც დაახლოებით კვირაში 45 წუთია. იმავე პერიოდში ბრიტანეთში 7.7%-იანი კლება აღინიშნა, 1813-დან 1675 სთ-მდე, საფრანგეთში 19%-იანი 1832-დან 1482 სთ-მდე, ხოლო გერმანიაში 37%-ით, 2186-დან 1371-მდე. ეს კვირაში 15 საათზე მეტია.

## რამდენ საათს მუშაობენ სხვადასხვა ქვეყანაში?

**2017 წლის მდგომარეობით კოლუმბიაში 2455-ს, მიანმარში 2438-ს, მექსიკაში 2257-ს, სინგაპურში 2237-ს, კოსტა-რიკაში 2179-ს, სამხრეთ კორეაში 2024-ს, თურქეთში 1832-ს, პოლონეთში 1812-ს, აშშ-ში 1780-ს, ირლანდიაში 1738-ს, ესპანეთში 1687-ს, შვეიცარიაში 1570-ს, ბელგიაში 1531-ს, ნორვეგიაში 1419-ს, გერმანიაში 1356-ს.**

**კოლუმბიაში 1 დასაქმებული საშუალოდ 81%-ით მეტ დროს ატარებს სამსახურში, ვიდრე გერმანიის მოქალაქე, თუმცა გერმანიაში ცხოვრების დონე ნებისმიერი მიმართულებით, შემოსავალი, ჯანდაცვა, განათლება, უსაფრთხოება კოლუმბის ცხოვრების დონეს გაცილებით აღემატება.**

გამოვიდა ისე, რომ განვითარებულ ქვეყნებში, სამუშაო დროის ხანგრძლივობა გაცილებით ნაკლებია, სინგაპური და სამხრეთ კორეა გამონაკლისებს წარმოადგენენ. მიზეზი ისევ პროდუქტიულობაა. კოლუმბიელმა ნაკლები რომ იმუშაოს, ხელფასი არ გაეზრდება, პირიქით მინიმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც გაუჭირდება.

**საქართველოში სამუშაო კვირის ხანგრძლივობა 40 საათს შეადგენს და დასაქმებულს 24-დღიანი შვებულება ეკუთვნის. ასეთი დათვლით დასაქმებული წლიურად 1888 საათი უნდა მუშაობდეს. რეალობა შრომის კოდექსისგან ცოტათი განსხვავებულია. ცვლაში მომუშავეებისთვის ძირითადად მაღაზიებსა და ბენზინგასამართ სადგურებზე სამუშაო კვირის ხანგრძლივობა 56 საათს აღწევს. მაშინაც კი, თუ მან შვებულებით სრულად ისარგებლა, რაც იშვიათ შემთხვევათა რიგს განეკუთვნება, წლიური სამუშაო დრო 2640 საათი გამოდის. მათთვის სანუგეშო ალბათ არ იქნება ის ინფორმაცია, რომ 160-180 წლის წინ ინდუსტრიალიზაციის საწყის ეტაპზე დასაქმებულებს წლიურად 3300 საათზე მეტის მუშაობა უწევდათ. ოფიციალურადაც და არაოფიციალურადაც ქართველი დასაქმებული, გერმანელზე მეტს შრომობს, მაგრამ ანაზღაურებით მის ნახევარსაც ვერ იღებს.**

საქართველო კამბოჯა არ არის, მაგრამ შვეიცარიამდეც ძალიან ბევრი უკლია. შრომის ბაზარზე რამდენიმე პრობლემაა: სამსახურის მაძიებლები უმუშევრობას უჩივიან, დასაქმებულები დაბალ ხელფასს, დამსაქმებლები კი კვალიფიციური კადრების სიმცირეს.

შესაძლებელია თუ არა ისეთ ღარიბ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, 4-დღიან სამუშაო კვირაზე გადასვლა? აღმოჩნდა, რომ კომპანიათა ნაწილი აღნიშნულზე მზაობას აცხადებს. კომერსანტი „მაკდონალდს საქართველოსა“ და „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ დამფუძნებელს **თემურ ჭყონიას** დაუკავშირდა. ჭყონიას განცხადებით, ტექნოლოგიები ამის საშუალებას უკვე იძლევა, მან საკუთარი მაგალითიც მოიყვანა და აღნიშნა, რომ ივნისისთვის ახალ საწარმოო ხაზს ელოდება, რომელიც იმ ოდენობის პროდუქციას, რომლის გამოშვებასაც ადრე 8 საათი სჭირდებოდა, ახლა 5 საათში დაამზადებს.

განსხვავებული თვალსაზრისი აქვს ეკონომისტ **სოსო არჩვაძეს**. მისი თქმით, სამსახურს უმუშევრების გარდა დასაქმებულებიც ეძებენ და შემოსავლის გაზრდის მიზნით ცდილობენ ორ ან სამ ადგილას იმუშაონ და თუ შესაძლებლობა მიეცემათ, 10-დან 9 ადამიანი დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით სამუშაო დროის გახანგრძლივებას დასთანხმდება. ხოლო იმ კომპანიათა რაოდენობა, რომლებიც სიახლის დანერგვას შეძლებენ, ძალიან ცოტა იქნება.

**საქსტატის მონაცემებით, 2021 წლის მესამე კვარტალში საქართველოში საშუალო ხელფასი 1370 ლარს შეადგენდა. ასეთი ინფორმაციის გაჟღერება უმეტესად ირონიისა და გაბრაზების მიზეზი ხდება ხოლმე. აღნიშნული თანხა დარიცხულ ხელფასს ასახავს, რასაც ჯერ საპენსიო შენატანი, შემდეგ კი საშემოსავლო გადასახადი აკლდება, რის შემდეგაც ხელზე ასაღები ხელფასი 1075 ლარამდე მცირდება. ეს რიცხვიც ბევრისთვის დაუჯერებელია. საქმე ისაა, რომ საშუალო ხელფასი არ ნიშნავს იმ ხელფასს, რომელიც ყველაზე ბევრ დასაქმებულს ექნება, ასეთ ინფორმაციას „მოდა“ გვაძლევს. საშუალო კი ყველას საშუალო შეწონილია, ანუ თუ ერთ ადამიანს ხელფასი 150 000 ლარი აქვ, ორს – 80 000, ათს – 50 000, ორმოცდაათს – 10 000, ორასს – 7000, ხუთასს – 3000, შვიდასს – 2000, ათასს – 1200, ოცი ათსს – 700, ორი ათასს – 500 და ოთხასს 300, მათი საშუალო ხელფასი 882 ლარი გამოდის, მიუხედავად იმისა, რომ 90%-ზე მეტს ამაზე ნაკლები ხელფასი აქვს. 80%-ს რომ 700 ლარი აქვს ხელფასი ის 700 მოდაა.**

**საშუალო ნომინალური ხელფასი ყოველწლიურად იზრდება, მაგრამ ორნიშნა ინფლაციის პირობებში ეს ზრდა შეუმჩნეველი ხდება. ამასთან, საშუალო ზრდა ყველასთვის ზრდას არ ნიშნავს. ის, ვისი ხელფასიც გასულ წელს არ გაიზარდა, რეალურად გაღარიბდა, ანუ თუ 2021 წლის იანვარშიც 700 ლარი აიღო და 2022 წლის იანვარშიც იმდენივე, ბოლო 700 ლარი თავისი მსყიდველუნარიანობით იგივეა, რაც 2021 წლის იანვრის 615 ლარი.**

**ბელგიაში უმუშევრობის დონე 5.7%-ს შეადგენს, ნიდერლანდებში 3.6%-ს, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, რომელიც თავის მხრივ 4.5 დღიან კვირაზე გადავიდა (პარასკევია მოკლე დღე), 4%, საქართველოში კი 19.5%, თუმცა თუ უფრო გულწრფელები ვიქნებით და სტატისტიკას უკეთ ჩავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ იმავე 2021 წლის მესამე კვარტალში თურმე სოფლად უმუშევრობის დონე 17.2% ყოფილა და ქალაქში 21.1%. რეალურად დასაქმება სოფლად უფრო ჭირს, მაგრამ ძალიან მცირე მეურნეობის ფლობის შემთხვევაშიც კი, რაც ოფიციალური საარსებო მინიმუმითაც კი ვერ უზრუნველყოფს ოჯახს, მათ წევრებს მაინც დასაქმებულად მიიჩნევს. სოფლის მაჩვენებელი ქალაქის მაჩვენებელსაც რომ გავუთანაბროთ, რაც ასევე არ იქნება მთლად ზუსტი, უმუშევრობის დონე ქვეყანაში 21%-ს გადააჭარბებს.**

„ადუღებული ეკონომიკის“ მიუხედავად, სოციალურად დაუცველთა რაოდენობა 1 წელიწადში 116 000-ით გაიზარდა და 648 000-ს გადააჭარბა, რაც მოსახლეობის 17.5%-ს უდრის. მზარდი სიღარიბის პირობებში, როდესაც, როგორც მინიმუმ, სამსახურის მსურველი ყოველი მეხუთე უმუშევარია და დასაქმებულთა დიდი ნაწილისთვისაც ხელფასი თვიდან-თვემდე თავის გატანის საშუალებაა და მეტი არაფერი, მასშტაბურად 4-დღიან სამუშაო კვირაზე ან 6 საათიან სამუშაო დღეზე გადასვლა არარეალური სურვილი ჩანს, თუმცა სურვილის შემთხვევაში კომპანიათა მცირე ნაწილს ეს ახლავე შეუძლია. „ტენეს“ ქარხანა, რომელიც ეკომეგობრულ უსბ კაბელებს აწარმოებს, 4-დღიან სამუშაო კვირაზე გასული წლის ოქტომბერში გადავიდა, 5 რვასაათიანი დღე 4 ათსაათიანი დღით ჩაანაცვლა და ხელფასები უცვლელად შეინარჩუნა.

სამუშაო დროის შემცირება ტექნოლოგიებს შეუძლია, მაგრამ ზოგ შემთხვევაში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა მაინც აუცილებელი ხდება. მაღაზიაში გრძელ რიგს ალბათ ბევრი გაუღიზიანებია და მეორე მოლარისთვის დაუძახებია, მაგრამ მეორე მოლარე არ მისულა, რადგან მოლარეც, კონსულტანტიც და საწყობის თანამშრომელიც 1 ადამიანი ყოფილა და იმ დროს როცა სალაროსთან უკმაყოფილოთა რიგი დამდგარა, ის შეიძლება სხვა მომხმარებელს ძეხვს უჭრიდა ან კარტოფილს უწონიდა...

**მემარცხენეები მიიჩნევენ, რომ სოციალური ფონის გამოსწორება კანონის ცვლილებით და შემდგომ მათი აღსრულებით შესაძლებელია. ისინი რეალურ 40-საათიან სამუშაო კვირას, მინიმალურ ხელფასს და სხვა ძალიან ბევრ კარგ რამეს ითხოვენ, მაგრამ მათი გამოსვლები ხშირად სადღეგრძელოს ემსგავსება. თუ კანონით 40-საათიან სამუშაო კვირაზე 1000-ლარიან მინიმალურ ხელფასს დავაწესებთ, ან კანონი ქაღალდზე დარჩება, ან უმუშევრობა და ინფლაცია ორივე ერთად კიდევ უფრო გაიზრდება. რა აზრი აქვს მინიმალურ 1000-ლარიან ხელფასს, თუ პური 3 ლარი გახდება? საკანონმდებლო ცვლილება პანაცეა რომ იყოს, მაშინ ალბათ უკეთესი იქნებოდა თუ პირდაპირ სიღარიბეს ავკრძალავდით, მაგრამ სიღარიბის აკრძალვის კანონით სიღარიბე ვერ დამარცხდება, ისევე როგორც გრავიტაციის გაქრობაა შეუძლებელი კანონით, მაშინაც კი საქართველოსთან ერთად, გაეროს წევრმა ყველა დანარჩენმა სახელმწიფომ მსგავსი აკრძალვის შესახებ კონსტიტუციაშიც რომ ჩაწეროს.**

**როდესაც სკანდინავიურ სოციალიზმს ახსენებენ, იმის აღნიშვნა ავიწყდებათ, რომ ის ქვეყნები სოციალიზმით არ გამდიდრებულან. უმუშევრობის შესამცირებლად, ხელფასების მოსამატებლად, ღარიბების დასახმარებლად, უფრო უსაფრთხო და კომფორტული სამუშაო გარემოს შესაქმნელად აუცილებელ წინაპირობას მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპი წარმოადგენს, საქართველოში კი ორნიშნა ეკონომიკური ზრდა 2007 წლის შემდეგ აღარ ყოფილა (2021 არ ითვლება, რადგან ზრდა მხოლოდ 2020-ის ფონზე დადასტურდა). არათუ ორნიშნა, ბოლო 10 წელია ზრდის ტემპს 5%-ისთვისაც კი აღარ გადაუჭარბებია, ასეთი ზრდა კი ღარიბი ქვეყნისთვის განვითარების პერსპექტივას კლავს.**

გიორგი ელიზბარაშვილი

**ის კაცი, რომელიც ამ წერილის სათაურშია ნაგულისხმევი, ცნობილი მეცნიერი, თეატრისა და კინოს ისტორიის უბადლო მკვლევარი, პროფესორი გოგი დოლიძეა. მას ქართველი საზოგადოების წინაშე წარდგენა არ სჭირდება, ამიტომ უბრალოდ შეიძლებოდა მეთქვა, ის კაცი გოგი დოლიძეა-მეთქი, მაგარამ მართლაც ჭეშმარიტ რაინდს, ჩოხოსანი იქნება იგი, თუ უჩოხო, მიუხედავად ჩვენი კეთილი ურთიერთობისა, ფამილარულად ვერ მივმართავდი. ტიტულებისა თუ მეცნიერული სტატუსის გარეშე რომ მომეხსენიებია, გულს დამაკლდებოდა უთუოდ და გულნაკლული კაცის მოსაზრებებს მადლი არა აქვს, ასე მგონია, თუმცა შეიძლება ვცდებოდე კიდეც.**

# ჩოხოსანი რაინდის პორტრეტი ანფასში

გოგის დიდი ხანია, დაუსწრებლად ვიცნობ მისი მრავალი პუბლიკაციით, რაზეც ხელი მიმიწვდებოდა. რამდენიმე გაზეთის მუდმივად ერთგული მკითხველი ვარ, მაგრამ ერთგულ მკითხველსაც შეიძლება გამორჩეს რამე, ამიტომ ვერ ვიტყვი, გოგი დოლიძის მთელ პუბლიცისტურ (და, სამწუხაროდ, არა მეცნიერულ) შემოქმედებას ვიცნობ-მეთქი, მაგრამ რასაც ვიცნობ, მყარ აზრს მიქმნის იმაზე, რომ იგი ურყევი პრინციპების მატარებელია და არასოდეს ღალატობს იმას, რისი ერთგულებაც თავისი ცხოვრების (სიცოცხლისაც) აზრად გაუხდია.

გოგი დოლიძე მხოლოდ ხელოვნებათმცოდნე პროფესორი როდია, იგი ქართული თეატრისა და კინოს ის უბადლო მემატიანეა, რომლის საქმიანობა ძალიან ჰგავს იმ დიდ მემატიანეთა მოღვაწეობას, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში ისტორიულ მონასტრებში წერდნენ ქართლის ცხოვრების მატიანეს, რაც ჩვენი ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი უმთავრესი ლიბო და საძირკველია.

გოგი იობის მოთმინებითა და ბერული სიბეჯითით იკვლევს ერთი შეხედვით სულ უმნიშვნელო დეტალებსაც კი, რაც ქართულ თეატრსა და კინოს ეხება, რადგან, სრულიად სამართლიანად მიაჩნია, რომ ისტორიისათვის წვრილმანი ინფორმაცია არ არსებობს. „უბრალო“ ინფორმაციის მცდარობამ შეიძლება ისტორიული ფაქტის არასწორი ინტერპრეტაცია გამოიწვიოს და ჭეშმარიტება მიიჩქმალოს. ამიტომ იცავს იგი ყველგან და ყოველთვის ჭეშმარიტებას, როგორც რაინდი მის მიერ დადებულ ფიცს. მისთვის ჭეშმარიტება არის მთავარი.



ერთი ხანობა, ცოტა მიკვირდა კიდეც, როგორ ახერხებს ეს კაცი ჩვენში, სადაც ძმაბიჭობა ყოველგვარ ობიექტურობასა და, მით უფრო, ჭეშმარიტებაზე მაღლა დგას, თან უსაზღვრო პოპულარობა შეენარჩუნებინა და თან უშეღავათოდ გაეკრიტიკებინა თავისი ცნობილი მეგობრები და კოლეგები. მერე მივხვდი, ამ რაინდი კაცის კრედოს — ჭეშმარიტება ყველაზე მაღლა! — პატივს სცემდნენ გაკრიტიკებულები, რომლებიც თავისთავად ღირსეული კაცები იყვნენ და არიან, მაგრამ ქართული „სიბეჯითის დეფიციტის“ გამო ფაქტობრივ შეცდომებს უშვებდნენ.

აქ ცოტა უნდა გადავუხვიო „ჭეშმარიტების“ ცნებასთან დაკავშირებით. გახსოვთ, ალბათ, ერთმა ჭკვიანმა და პოპულარულმა ქართველმა, „სახალხო ფრონტის“ ყრილობაზე საჯარო გამოსვლაში განაცხადა, ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგასო. ჩემი აზრით, ეს ამ ფილოსოფოსის საბედისწერო შეცდომა იყო, რამაც მის მიმართ მძაფრი ნეგატიური რეაქცია გამოიწვია (სრულიად სამართლიანად!) მას დაავიწყდა ან იქნებ არც იცოდა, რომ „სამშობლო“ ჭეშმარიტებაა. „სამშობლო, როგორც უფალი ერთია ქვეყანაზედა!“ ამის მთქმელმა იცოდა რომ ჭეშმარიტება ერთია და ეს არის უფალი, „სამშობლო“ კი უფლის სწორია!

გოგი დოლიძისთვის ჭეშმარიტება სამშობლოა, ამიტომ არავის პატიობს იგი ჭეშმარიტების ნებსით თუ უნებლიეთ ხელყოფას, თუნდაც ძმა და მეგობარი იყოს იგი მისთვის. ვერ პატიობს და აკრიტიკებს მათ, იმიტომ კი არა რომ მათ მტრებად და მოწინააღმდეგეებად მიიჩნევს, არა, მხოლოდ ჭეშმარიტების დადგენისა და დაცვის მიზნით. ამის შემდეგ ის გაკრიტიკებულები მისთვის ისევ ისეთივე მეგობრები და კოლეგები არიან, როგორებიც მანამდე იყვნენ. რაინდული თვისებაა ეს და ვინც ამას ვერ მიხვდება, ეს მათი პრობლემა და აზროვნების ნაკლია.

რაინდობაზეც უნდა ვთქვა ორიოდ სიტყვა:

საზოგადოებრივ ცნობიერებაში რაინდობა ფიზიკურ სიძლიერესა და სრულყოფილებას უკავშირდება. არადა, რაინდობა ადამიანის სულიერი მდგომარეობაა. ეს ისეთი მდგომარეობაა, რის გამოც ადამიანი ვერ ურიგდება უსამართლობას, ჩაგვრასა და ჭეშმარიტების ხელყოფას. ამიტომ, ფიზიკურად ძლიერი და სრულყოფილი აღნაგობის კაცი შეიძლება რაინდი კი არა, სულაც გულნამცეცა, კონიუნქტურის მონა და ეგოისტი იყოს. ყველას გახსოვთ, ალბათ, ეგნატე ნინოშვილის „ჩვენი დროის რაინდი“, რომლის პერსონაჟი, ფიზიკურად ძლიერი და წარმოსადეგი ტარიელ მკლავაძე ავტორმა ირონიულად მოიხსენია „ჩვენი დროის გმირად“, რომელიც სუსტების მჩაგვრელი და ძლიერი მონაა. ამ მოთხრობის პერსონაჟი, სოფლის მასწავლებელი სპირიდონ მცირიშვილი, სუსტი და უღონო კაცია, მაგრამ ნამდვილი რაინდი, რომელმაც მჩაგვრელი და მოძალადე პისტოლეტით მოკლა რკინიგზის ბაქანზე. როდესაც პოლიციის ბოქაული მოვიდა კონფლიქტის ადგილზე და იკითხა „кто убил? სპირიდონმა უშიშრად უპასუხა: „я убил!“ ეს რომ არ ეთქვა, ამ ჩია კაცის მიერ იმ დევკაცის მკვლელობაზე ეჭვსაც ვერავინ მიიტანდა.

გოგი დოლიძე ფიზიკური აღნაგობითაც უნაკლო და მომხიბვლელი კაცია, მისი შინაგანი, სულიერი სამყაროც მისი გარეგნობის შესაბამისი ჰარმონიულობით არის გამორჩეული. ჩემი ღრმა რწმენით, ჩოხოსან რაინდთა იმ დასს, რომელსაც ბატონი გოგი მეთაურობს, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელი კი არ უნდა ერქვას, არამედ „გოგი დოლიძის ჩოხოსან რაინდთა ორდენი“! (ჩემი მოსაზრების უფრო ღრმა არგუმენტაციას ახლა არ გავაკეთებ!)

ცოტა ხნის წინ ბატონი გოგი დოლიძის ერთი მცირე მოცულობის წიგნი ჩამივარდა ხელში, სადაც 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის ერთი ნაკლებად ცნობილი ფაქტია განხილული. კერძოდ, 1918 წლის სექტემბერში საბჭოთა რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებულ რუს პატრიოტ გენერლებს: მ. ალექსეევს, ა. დენიკინს, ი. რომანოვსკის, ა. დრაგომიროვსა და ვ. სტეპანოვს ქალაქ ეკატერინოდარში (ახლანდელ კრასნოდარში) თათბირზე მიუწვევიათ იმდროინდელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი და გენერალი გიორგი მაზნიაშვილი. ბატონი გოგი ჩვეული სკრუპულოზურობით იკვლევს და აზუსტებს ამ თათბირის ოქმსა და გენერალ ა. დენიკინის მემუარებში გადმოცემულ ფაქტებს ამ თათბირთან დაკავშირებით და ასწორებს იმ ხარვეზებს, რაც ე. გეგეჭკორის განცხადებების ციტირებასთან არის დაკავშირებული. ამასთან, ავტორს შრომა არ დაუკლია საიმისოდ, რომ იმ თათბირის ოქმის სრულყოფილი თარგმანი შეეთავაზებინა დაინტერესებული ქართველი მკითხველისთვის.

ეს პატარა წიგნი, პირადად ჩემთვის, აღმოჩენა იყო. გოგი მხოლოდ თეატრისა და კინოს მემატიანე არ ყოფილა. მას, თურმე, ჩვენი ახალი ისტორიის უცნობი ფაქტების კვლევისთვისაც მოუცლია. ეს არა მარტო მის ერუდიციაზე, არამედ სამშობლოს წინაშე მის პასუხისმგებლობაზეც მეტყველებს: ვერ ურიგდება იმ უზუსტობებს, რასაც კი შეამჩნევს ჩვენს ისტორიასთან დაკავშირებულ გამოკვლევებსა თუ მოგონებებში. ეს, რა თქმა უნდა, მკვლევართათვის სანიმუშო მაგალითია.

ეს პატარა წიგნი გულმოდგინედ წავიკითხე და ავტორი აქაც ისეთივე პრინციპულ და გულწრფელ მკვლევარად წარმომიდგა, როგორც ეს მის ჭეშმარიტ პროფესიასა და, უფრო მეტიც, ბედისწერასთან — თეატრისა და კინოს მემატიანის მძიმე შრომასთან დაკავშირებით წარმომიდგება ხოლმე დღენიადაგ. საქართველოს უახლესი ისტორიის მკვლევარები, ალბათ, სათანადოდ დააფასებენ ამას.

მე არ ვარ იმ ისტორიული პერიოდის საქართველოს ისტორიისა კომპეტენტური მცოდნე, მაგრამ ის ვიცი, რომ 1918 წლის სექტემბერში მთელი სამხრეთ რუსეთი ა. დენიკინისა და იმ გენერლების ხელში იყო, რომლებმაც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი და ცნობილი გენერალი მიიწვიეს თათბირზე. ა. დენიკინი ტრიუმფით მიიწევდა მოსკოვისაკენ და, ალბათ, დარწმუნებული იყო, რომ ლენინ-ტროცკის ხელისუფლებას მალე გამოუყვანდა წირვას. ამიტომ მიიწვია, ალბათ, ქართველები იმ თათბირზე, რაზეც არა მარტო იმჟამინდელ, არამედ პერსპექტიულ ამოცანებზეც მსჯელობდნენ. ეჰ, ისტორიის სიურპრიზები გამოუცნობია! რა იცოდა მაშინ ა. დენიკინმა, რომ კრემლში ლენინ-ტროცკის „ყოვლისშემძლე“ ბელადებთან ერთად იყო ერთი ყველაზე უმნიშვნელო თანამდებობის კაცი, რომელიც სასიკვდილო ლახვარს ჩასცემდა ანტონ დენიკინის უძლეველ არმიას. ამას მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მიხვდა რუსი პატრიოტი გენერალი ა. დენიკინი, რაც კარგად სჩანს სტალინისადმი მიწერილ მის წერილში.

ა. დენიკინმა არ იცოდა ეს, მაგრამ ევგენი გეგეჭკორმა იცოდა. ამიტომაც უთხრა თათბირის მონაწილე გენერლებს: „თქვენ არ წარმოადგენთ რუსულ სახელმწიფოს, რომელსაც შეეძლო პრეტენზია ჰქონოდა ამაზე“ (ტერიტორიულ პრეტენზიებს გულისხმობდა).

ეკატერინოდარში უმაღლესი დონის რუსული სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენლები იყვნენ შეკრებილები და, ალბათ, ზუსტად იცავდნენ იმ ეტიკეტს, რაც ოფიცრის ღირსების შესაბამისი იყო. ამიტომ, არაფერი ვაჟკაცობა არ სჭირდებოდა იმის განცხადებას, რასაც ევგენი გეგეჭკორი აკეთებდა ეკატერინოდარში.

გოგი დოლიძის მიმართ ჩემი უღრმესი პატივისცემის მიუხედავად, მეტიც, სწორედ ამის გამო, მე თავს უფლებას ვერ მივცემ გულწრფელად არ ვუთხრა, რასაც ვფიქრობ.

**ბატონო გოგი, მე ვერ გავიზიარებ თქვენს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ჩვენ ისე უნდა ველაპარაკოთ რუს გენერლებსა და პოლიტიკოსებს, როგორც იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი ელაპარაკებოდა. იმდროინდელი საქართველოს მთავრობის საგარეო პოლიტიკა, ჩემი აზრით, სრული აბსურდი იყო, რადგან მან სწორი ორიენტაციები ვერ განახორციელა და საგარეო ვექტორი მოუსავლეთში მიმართა. ამ საქმეში დიდი წვლილი სწორედ საგარეო საქმეთა მინისტრს ეკუთვნოდა.**

ამის მიუხედავად, ეკატერინოდარში რუსი გენერლებისა და ქართველი საგარეო საქმეთა მინისტრისა და ცნობილი გენერლის შეხვედრის ისტორიული ფაქტის დეტალების დაზუსტება და გასაჯაროება ისტორიული პროცესის სწორი გააზრებისათვის ფრიად სასარგებლოდ მიმაჩნია.

**ზურაბ ცუცქირიძე**



# ზაურ ბოლქვაძისა და ცისფერთვალება თამრიკოს ამბავი

**დიდი ხნის წინათ უნივერსიტეტში ჩავაბარე გამოცდები და მოვხვდი მათემატიკის ფაკულტეტზე.**

**იმავე დღეს დავინახე ის ცისფერთვალა თამრიკო. არ გაგიკვირდებათ, რომ მას ისეთი ცისფერი თვალები ჰქონდა, რომ არ შეიძლება, არ შემყვარებოდა. იმავე ღამეს დავწერე იმ თამრიკოსადმი მიძღვნილი არც კი ვიცი რა, ლექსი, პროზაული მინიატიურა, ლექსი-პროზად, ეტიუდი... მოკლედ, ორგვერდიანი ნაწარმოები.**

**ეს იყო 1964 წელი. უნივერსიტეტში გამოდიოდა გაზეთი. რედაქციაში შესვლა შეიძლებოდა უნივერსიტეტის შიდა ეზოდან. ახვიდოდით ხვეულ კიბეზე და მეოთხე სართულზე შეაღებდით კარს. ეს ჩემი ნაწარმოებიც იქ მივიტანე. მაშინ მოხდა ჩემთვის სასიამოვნო ამბავი. უნივერსიტეტის გაზეთს დაენიშნა რედაქტორად ჩემი საყვარელი პოეტი და, ალბათ, ბევრისთვის ასევე საყვარელი ზაურ ბოლქვაძე. გამეხარდა მისი დანიშნვნა, რადგან ყველა შემთხვევაში, რადგანაც აქ მივიტანე მასალა, რედაქტორი უნდა მენახა.**

**ბატონმა ზაურმა პასუხისთვის შემდეგ კვირას დამიბარა. ცხადია, დათქმული ვადის მოსვლას ძალიან დიდი მოლოდინით ველოდი და აი, ავედი ხვეულ კიბეზე და შევაღე რედაქციის კარი. მერე გავიგე, რომ რედაქციაში პირდაპირ შენობიდანაც შეიძლებოდა შესვლა. ბატონი ზაური იჯდა მაგიდასთან და სწორედ ცისფერთვალა თამრიკოზე დაწერილ ჩემს ნაწარმოებს კითხულობდა. მანიშნა, დაჯექიო. დავჯექი სკამზე და ბატონმა ზაურმა ფურცლებს მოაცილა მზერა და მოკლედ მითხრა: - მართლა ასე გიყვარს, ბიჭო? — მე ვერაფერი ვუპასუხე. მას შემდეგ ძალიან დიდი ხანი გავიდა. მე ისიც არ ვიცი, დაიბეჭდა გაზეთში ის ჩემი ნაწარმოები თუ არა, მაგრამ სამუდამოდ დამამახსოვრდა ბატონი ზაურის ყურადღებიანი მზერა, რომელშიც იყო გულწრფელი თანადგომაც, ჩემი პიროვნებისადმი სიყვარულიც, იმ თამრიკოს პიროვნებით დაგულისყურებაც და საერთოდ, ზაურ ბოლქვაძე, როგორც დიდებული პიროვნება... მე, ცხადია, მანამდეც მიყვარდა ეს პოეტი, მაგრამ მას შემდეგ არ გამომიტოვებია ზაურ ბოლქვაძის არც ერთი სტრიქონი, რომელიც ქართულ პრესაში და წიგნებში დაიბეჭდა. დიდი ხნის შემდეგ ბატონმა ზაურმა დაბეჭდა პატარა მინიატურა, რომელსაც ჩემი ნება რომ იყოს, თავისი ლაკონიურობით, სიბრძნით, სამყაროს უეცარი უბრალო დანახვით, ჩემპიონ ლექსს ვუწოდებდი...**

**რამდენიმე წლის წინ, საქართველოს მწერალთა კავშირში გაიმართა მწერალთა და საერთოდ ქართველ მოქალაქეთა შეკრება, რომელიც მიეძღვნა ზაურ ბოლქვაძეს. მე რომ გავიგე, შეკრება უნდა ჩატარებულიყო, გავიქეცი დასასწრებად და შეკრების წამყვანს გულისფანცქალით ვაცნობე ჩემი სურვილი, რომ მეც გამოვსულიყავი ჩემი თბილი მოგონებით, მაგრამ ეტყობა წამყვანმა ან სხვა მსურველების ბარათთა შორის დაკარგა ჩემი ბარათი, ან დაავიწყდა, რაც ვთხოვე. ამაოდ ველოდე, მაგრამ სიტყვა არ მომცეს.**

**ახლა ვბეჭდავ ამ მოგონებას, რადგან ბატონ ზაურთან შეხვედრამ არ გამიცრუა იმედი და იგი იმ პატარა რამდენიმე წამიანი შეხვედრის შემდეგ გაცილებით უფრო ძვირფასი ადამიანი გახდა ჩემთვის.**



**გურამ პეტრიაშვილი**

# მართალია თუ არა, რომ ჩინეთი სერიოზული ფინანსური კრიზისის წინაშე დგას?




**ჩინეთს მსოფლიო ეკონომიკაში ძალიან მნიშვნელოვანი როლი და მისია აქვს დაკისრებული. თუმცა ამ ბოლო დროს ჩინური ბაზრის ფინანსური რისკების შეუფასებლობაზე საუბარი განსაკუთრებით გახშირდა. „ბევრი რამ მიუთითებს იმაზე, რომ ჩინეთი გლობალური ფინანსური სისტემიდან ამოვარდნილი დომინოს პირველი ქვა იქნება. ჩვენ უნდა მოვემზადოთ ამისთვის და ძალიან მოკლე დროში, ჩინეთში არსებული საწარმოებისა და ფინანსური ინსტიტუტების რისკები შევამციროთ“, — განაცხადა ეკონომიკურ ჟურნალ Handelsblatt-თან ინტერვიუში ბერლინის ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელმა მარსელ ფრაცშერმა. რა გახდა ამ განცხადების მიზეზი, Deutsche Well-მ გაარკვია.**

### ჩინეთის ეკონომიკური ზრდის ტემპი მკვეთრად იკლებს!

**მარსელ ფრაცშერი არ არის პირველი ექსპერტი, რომელმაც გერმანელი ბიზნესმენები და პოლიტიკოსები ჩინეთში სერიოზული ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის მზარდი საფრთხის შესახებ გააფრთხილა. გერმანელების ინტერესი ამ ქვეყნის მიმართ აბსოლუტურად გასაგებია: ჩინეთი გერმანიისთვის რიგით მეორე საექსპორტო ბაზარი და უმსხვილესი იმპორტიორია, რასაც გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამსახურის (Destatis) ბოლო მონაცემებიც მოწმობს.**

2022 წლის დასაწყისში, იმავე გაზეთ Handelsblatt-ში გამოჩნდა ვრცელი სტატია, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის მრავალი ექსპერტის შეფასებებს ეყრდნობოდა. აქ ჩამოთვლილი იყო ჩინეთის ეკონომიკის ხუთი ძირითადი რისკ-ფაქტორი: უძრავი ქონების ბაზრის კრიზისი, კონფლიქტი ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ახალი კორონავირუსის გამო დაწესებული გამუდმებული „ლოქდაუნები“, მაღალტექნოლოგიური კომპანიების ბიზნესში სახელმწიფოს მზარდი ჩარევა და ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელება, რაც ქვეყნის სტაბილურობას საფრთხეს უქმნის.

### დომინოს პრინციპის მქონე გლობალური ფინანსური კრიზისის საფრთხე

დაახლოებით იმავე დასკვნამდე მივიდა გერმანიის მთავრობის საგარეო ვაჭრობის სააგენტო Germany Trade & Invest-იც (GTAI). 2021 წლის ნოემბერში მან გამოაქვეყნა ჩინეთის ბაზრის ანალიტიკური მიმოხილვა სათაურით — „ბარაქიანი წლები ჩინეთში დასრულდა“ თუმცა მარსელ ფრაცშერამდე, გერმანიაში ალბათ არავის უსაუბრია ასე ღიად ჩინეთში მოსალოდნელი მზარდი საფრთხის შესახებ არა მხოლოდ ეკონომიკური ვითარების გაუარესების, არამედ სრულმასშტაბიანი კრიზისის მიმართულებითაც. უფრო მეტიც, დომინოს პრინციპის შესაბამისად, ზემოთ ხსნებული მოვლენები ჯერ განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე აისახება, შემდეგ კი გლობალურ ფინანსურ კრიზისად გადაიქცევა.

დეველოპერ Evergrande-ის კოლაფსი, მხოლოდ და მხოლოდ აისბერგის წვერია. გასული წლის შემოდგომაზე საერთაშორისო მედია უძრავი ქონების ჩინური გიგანტის — Edthuhfylt-ს ფაქტობრივ კოლაფსს როცა აშუქებდა, მუდმივად ავლებდა პარალელს ამერიკული ბანკის, Lehman Brothers-ის გაკოტრებასთან. სწორედ ეს უკანასკნელი მოვლენა ითვლება 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის ამოსავალ წერტილად. თუმცა ასეთი შედარება ჟურნალისტებმა მაშინ მხოლოდ მიმდინარე პროცესების საილუსტრაციოდ გამოიყენეს და ეს არ აღიქმებოდა როგორც პროგნოზი.

თუმცა ბერლინის ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელის მარსელ ფრაცშერის სიტყვები, ფაქტობრივად, პროგნოზს ჰგავს. მეცნიერთა დიდი ჯგუფის ხელმძღვანელი მიუთითებს ფინანსურ და საკრედიტო პრობლემებზე, რომლებიც განვითარებადი ეკონომიკის მქონე ბევრ ქვეყანაში დაგროვდა (**„რისკები გაცილებით მაღალია, ვიდრე ბევრი ფიქრობს“**). ის გვაფრთხილებს, რომ მომდევნო ორ წელიწადში ამან შეიძლება გლობალური ფინანსური კრიზისი გამოიწვიოს, ამოსავალი წერტილი კი ჩინეთი გახდეს.

მარსელ ფრაცშერის თქმით, Evergrande-ს კოლაფსის ისტორია, რომელიც ჩინეთის მთავრობამ და ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა თავიდან აიცილეს, მხოლოდ აისბერგის წვერია. ათწლეულების განმავლობაში უძრავი ქონების ბუმის გამო, ბევრ მსხვილ დეველოპერსა და მრავალ შინამეურნეობას დიდი ვალი დაუგროვდა. თუმცა დავალიანება არაერთ სახელმწიფო საწარმოს აქვს.

### ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მსხვილი სახელმწიფო კომპანიების გაკოტრება გარდაუვალია

ჯერჯერობით, ჩინეთის ხელისუფლება ვითარებაზე კონტროლის შენარჩუნებას კვლავ ახერხებს. ეს ხდება ნაწილობრივ დიდი ფულადი რეზერვების, საბანკო სექტორზე ზეწოლისა და კაპიტალის კონტროლის წყალობით, რაც მის საზღვარგარეთ გადინების შესაძლებლობას ზღუდავს.

**„მიუხედავად ამისა, ჩინეთში შეიძლება მალე დადგეს ის მომენტი, როდესაც შეუძლებელი იქნება ფინანსური სისტემის ფართომასშტაბიანი პრობლემების შეჩერება და დღის წესრიგში მათი მოგვარების აუცილებლობა დადგება. მაშინ გარდაუვალი გახდება უძრავი ქონების ზოგიერთი მსხვილი კონცერნის, სახელმწიფო ბანკისა თუ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბევრი სხვა კომპანიის გაკოტრება“,** — ასეთია მარსელ ფრაცშერის პროგნოზი.

ჩინეთის ფინანსური და ეკონომიკური პრობლემები შეიძლება აშშ-სთან მიმდინარე და ევროპასთან მზარდმა სავაჭრო კონფლიქტებმა კიდევ უფრო გაამწვავოს. თუ ისიც დადასტურდება, რომ **„ორივე ჩინური ვაქცინა საერთოდ ვერ ან მხოლოდ მცირე დოზით იცავს ომიკრონისა და ახალი კორონავირუსის სხვა ვარიანტებისგან, მაშინ ამან შეიძლება გამოიწვიოს (როგორც 2020 წლის გაზაფხულზე) ქარხნებისა და სავაჭრო გზების დროებითი დახურვა“,** — წერს ექსპერტი. ამასთანავე, გარდაუვალი შედეგი იქნება გლობალური მიწოდების ჯაჭვის შემდგომი მასობრივი შეფერხებებიც. ყველა ეს პრობლემა, მარსელ ფრაცშერის აზრით, გერმანიაში ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შეფასებული. ამიტომაც მან განგაშის ატეხა გადაწყვიტა.

# ვლადიმერ პუტინი: ...შეიძლება დარტყმა განვახორციელოთ იმ ქვეყანაზე, რომელიც ამ ომის პროვოცირებას აკეთებს...

(მეოთხე გვერდიდან)

აქ მარტო პოლიტიკა არ არის. ეს ძალიან რთული კომპლექტია, რომელიც ერთობლივად არის როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური, ასევე აქსეოლოგიური. ძირითადად, ღირებულებების ხედვაა ერთი მხრივ რუსეთისა და ჩინეთის, მეორე მხრივ დასავლეთის და აშშ-ის. რთული პროცესია, რომელიც დამთავრდება ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირებით. ახლა მიმდინარეობს მტკივნეული პროცესი — დიდ მოთამაშეებს შორის ვაჭრობა.

**— რა შემთხვევაში შეიძლება უკრაინამ უარი თქვას ნატოში გაწევრებაზე? დღეს პრინციპულად აცხადებს, რომ ქვეყნის ჩრდილოატლანტიკური კურსი არ გადაიხედება...**

— საერთოდ, უკრაინა-რუსეთის დაპირისპირებით ყველაზე დაზარალებული რჩებიან ერთი მხრივ რუსეთი და მეორე მხრივ უკრაინა, რაც ძალიან კარგად ესმით უკრაინაში. ამიტომ, ულირთ ნატოში გაწევრების ფასად ხანგრძლივი ომი, მაშინ, როდესაც ყველა წევრი არც კი თანხმდება უკრაინის გაწევრებაზე? აშშ ამბობს, რომ ჯარებს ვერ გაგზავნის, მაკრონს სხვა გეგმა აქვს, იქ ორბანი სულ სხვა გეგმას სთავაზობს და გაიჟღერა იმანაც, რომ შეიძლება საერთოდ გამოვიდეს ევროკავშირიდან — განხეთქილებაა დასავლეთში.

**— განხეთქილება დასავლეთში შექმნის იმის წინა პირობას, რომ დიდი ომის გზით არ განვითარდეს მოვლენები და, საბოლოო ჯამში, მოლაპარაკების გზით გადაწყდეს კონფლიქტი?**

— ვფიქრობ, რომ დიდი ომი არ იქნება, რადგან ომი, განსაკუთრებით, დასავლეთს არ აწყობს. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ეს პროცესი მოლაპარაკებით დამთავრდება. სხვათა შორის ვლადიმერ პუტინი ერთ-ერთ გამოსვლაში ამბობდა, რომ არ არის აუცილებელი მათ უკრაინას დაარტყან. შეიძლება ეს დარტყმა განახორციელოს იმ ქვეყანაზე, რომელიც ამ ომის პროვოცირებას ახდენს, ე.ი. პუტინმა თქვა, რომ საფრთხის ქვეშ არის არა უკრაინა, არამედ დასავლეთის ქვეყნები, რაც იმის საფუძველია, რომ დაფიქრდნენ და დათმობაზე წავიდნენ.

**— თეორიულად დავუშვათ, რომ რუსეთმა გადალახა უკრაინის საზღვარი, ასეთ შემთხვევაში დასავლეთი ჩაერთვება სამხედრო ძალით? ზელენსკი პირდაპირ ამბობს, რომ თუ უახლოეს დღეებში აშშ-ის პრეზიდენტი ეწვევა უკრაინას, ეს იქნება სიგნალი იმისა, რომ ხელი შეუწყოს დეესკალაციას...**

— პირდაპირ აცხადებენ, რომ ომში ჩაბმა და რუსეთთან დაპირისპირება გამოიწვევს ბირთვულ დაპირისპირებას. დასავლეთი არ აპირებს ჩაერთოს ამ პროცესებში. საქართველოს მაგალითიც ძალიან სიმპტომატური იყო ამ მხრივ. ყველა ელოდა, რომ დასავლეთი ჩაერთვებოდა, მაგრამ ყოველთვის ვამბობდი, რომ არ ჩაერთვება დასავლეთი, ორი ბირთვული სახელმწიფო — ამერიკა და რუსეთი ერთმანეთს არ დაეტაკებოდა. იგივე ვითარებაა დღესაც. ასე რომ, შეიძლება უკრაინაც დათმობაზე წავიდეს. ყოველ შემთხვევაში ამის პირველი სიმპტომი გამოჩნდა.

**— საინტერესოა ისიც, რომ პასიურია როგორც ჩინეთი, ასევე ინდოეთი, მაშინ, როდესაც, როგორც რუსეთი, ისე აშშ ცდილობს პარტნიორობას ამ ქვეყნებთან...**

— ვლადიმერ პუტინი შეხვდა როგორც ჩინეთის, ასევე ინდოეთის ლიდერებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთს და ინდოეთს ბევრი სადავო საკითხი აქვთ, ორივე **შოშის** წევრები არიან და თანამშრომლობენ. პოლიტიკის ვექტორი დასავლეთიდან გადადის სულ სხვა მიმართულებით და კერძოდ, აღმოსავლეთში. ჩინეთს სულ სხვანაირად ესახება მსოფლიო წესრიგი. მაგალითად, დასავლეთის ცივილიზაცია გამყარებულია ე.წ. კარტენზიანულ და პროტესტანტურ ეთიკაზე. მაგალითად, ჩინური პოლიტიკა ემყარება კონფუციანიზმს, ანუ ჰარმონიული გარემოს შექმნაზეა ორიენტირებული. ძალიან დიდი ღირებულებითი განსხვავებაა მათ შორის, იდეოლოგიური. მაშინ, როდესაც წინა პლანზე გამოვიდნენ ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი, დასავლეთი აღარ არის ერთადერთი კანონმდებელი მსოფლიო წესრიგისა.

ლიბერალიზმი არის კრიზისში. ამიტომ ჩვენ უნდა ველოდოთ სრულიად ახალი წესის მსოფლიო წესრიგს. ეს პროცესი დამთავრდება ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირებით. ეს იქნება არა ერთპოლარული, არამედ მრავალპოლარული სამყარო, სადაც დასავლეთს, ალბათ, ექნება თავისი ადგილი, მაგრამ არ იქნება ერთადერთი კანონმდებელი იმ უნივერსალური წესებისა, რომელსაც იგი დანარჩენ მსოფლიოს სთავაზობს.

**— დასავლეთი ცდილობს, რომ არ იყოს ზედმეტად აქტიური, ამის ფონზე ქართული ოპოზიცია ხელისუფლებას აკრიტიკებს მისი პასიურობის გამო. დღეს საქართველოს რას აძლევს რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებაში ჩართვა, მით უმეტეს, როცა უკრაინაში ომი საქართველოზე ავტომატურად იმოქმედებს, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით?**

— მადლობა ღმერთს, რომ ხელისუფლებაში არ არის მიხეილ სააკაშვილი და ეს ხელისუფლება ფრთხილად იქცევა, რაც ვნახეთ რეზოლუციის ტექსტში. ნაციონალების სახით არსებული ოპოზიცია, ეს არის დესტრუქციული, რაც არაერთხელ გამოვლინდა. ვნახეთ, როგორ დამთავრდა 2008 წლის ომი. ისინი მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ფიქრობენ — რაც უფრო ცუდი, მით უკეთესი მათთვის, რაც საქართველოს ნამდვილად არ წაადგება. საქართველო ახლა ძალიან ფრთხილად და მოზომილად უნდა იქცეოდეს. არ მოხდეს ისე, რომ ამ გლობალური კატაკლიზმების დროს ქვები გვირტყან თავში...

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

## რუსეთის საბოლოო დამარცხების შემდეგ...



**კრემლმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად და მისი დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად,** — ამის შესახებ ევროპარლამენტარი ანა ფოტიგა „ტვიტერზე“ წერს.

**„რუსეთის აგრესია მას აქცევს თალლით სახელმწიფოდ. კრემლმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად და მისი დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად. რუსეთის საბოლოო დამარცხების შემდეგ კი უზრუნველვყოფთ, რომ 1939, 2008 ან 2014 წლები აღარასდროს განმეორდეს“,** — წერს ევროპარლამენტარი.



# ოკუპანტი ხელწერას არ იცვლის!

(მეორე გვერდიდან)

მას იმედი აქვს, რომ **„უკრაინელები არ წამოეგებიან პროვოკაციას“**. 2008 წლის საქართველოსა და 2022 წლის უკრაინას შორის პარალელებს ავლებს ასევე, მაგალითად, ატლანტიკური საბჭოს უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, დიპლომატი მეთიუ ბრაიზაც და ამაზე მიანიშნებს საერთაშორისო მედიაც. 2008 წელს, კრემლის მფარველობით მოქმედი სეპარატისტების თავდასხმები განსაკუთრებით გახშირდა ივლისის მიწურულს. თითქმის ყოველდღე იბომბებოდა დიდი და პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობის ქართული სოფლები.

* * *

**ექსპერტები „რადიო თავისუფლებასთან“ საუბრისას იხსენებენ, რომ აგვისტოს ომს წინ უსწრებდა ცხინვალის მცხოვრებთა მასობრივი ევაკუაცია.**

ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისული რეგიონის ლიდერმა ედუარდ კოკოითიმ ცხინვალიდან ქალების, ბავშვებისა და მოხუცების გაყვანა აგვისტოს პირველ დღეებში დაიწყო. რუსულენოვანი წყაროების ცნობით **„დაგეგმილად და ორგანიზებულად“** მიმდინარე პროცესში რუსეთში გადაიყვანეს ცხინვალის 4 ათასი მკვიდრი, ხოლო **„იმავე დროს, ქალაქში (ცხინვალი) რუსეთის მედიის დაახლოებით 5 ათასი ჟურნალისტი გაჩნდა“**.

ამჟამად კი ევაკუაციაზე დონბასელი სეპარატისტების ლიდერები ლაპარაკობენ. თვითგამოცხადებული დონეცკის სახალხო რესპუბლიკის (ДНР) ლიდერმა, დენის პუშილინმა 18 თებერვალს გამოაცხადა, რომ **„მასობრივი, ცენტრალიზებული“** პროცესის ფარგლებში მოსახლეობა უპრობლემოდ გადავა რუსეთში და განთავსდება როსტოვის ოლქში. პუშილინი, კოკოითის მსგავსად, აცხადებს, რომ ამ პროცესში უპირატესობა ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს მიენიჭებათ.

ოდნავ მოგვიანებით, ასეთივე გეგმაზე ისაუბრა ე.წ. ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის ლიდერმა, ლეონიდ პასეჩნიკმაც. ამ გეგმითაც, ოკუპირებული რეგიონის მოსახლეობას რუსეთში ელოდებიან. ევაკუაციის მიზეზად, ორივე შემთხვევაში, სახელდება მოლოდინი, რომ, დასავლეთის მიერ მიწოდებული იარაღით, კიევი „ახლო მომავალში“ დაესხმება თავს მშვიდობიან მოსახლეობას.

* * *

ცხელი თავები (კიევში)“ – გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე, 17 თებერვალს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, სერგეი ვერშინინის მიერ ნათქვამმა ამ სიტყვებმა 2008 წელი გაახსენა ქართველ ექსპერტებსაც.

**„ჩვენთან მიმართებითაც იგივეს ამბობდნენ – „ცხელი თავები (თბილისში).. ანუ ეს იყო დაბრალება, რომ ომი უნდა არა მათ, არამედ მეორე მხარეს. ამ დროს კი, (რუსეთი) თვითონ აწვდის იარაღს, სამხედრო წვრთნებს იყენებს თავისი ჯარების მაქსიმალური მობილიზებისთვის და შემდეგ აღარ აბრუნებს უკან“,** – ეუბნება „რადიო თავისუფლებას“ საქართველოს რეფორმების ასოციაციის დამფუძნებელი, საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე, სერგი კაპანაძე. მასშტაბური სამხედრო წვრთნა – „Кавказ 2009“ ცხინვალის რეგიონში, რუსეთის 58-ე არმიის მონაწილეობით, 2008 წლის 2 აგვისტოს დასრულდა.

არაერთი წყაროს ცნობით, რუსეთის 58-ე არმიის შენაერთები, უკვე 7 აგვისტოს, საქართველოს ტერიტორიაზე იყვნენ შემოსული. ამას ადასტურებს აფხაზეთის მაშინდელი ლიდერის სერგეი ბაღაფშის კომენტარიც, რომელიც, სწორედ 7 აგვისტოს, რუსეთის ტელევიზიების ეთერში გავიდა.

ახლა კი განგაშს იწვევს რუსეთის მიერ ბელარუსთან ერთად ჩატარებული მასშტაბური სამხედრო წვრთნა – „Союзная решимость“ – 2022“, რომლის დასრულების ვადად დასახელებული იყო 20 თებერვალი. რუსეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ შენაერთები, რომლებმაც წვრთნებში მონაწილეობა დაასრულეს, თანდათან უბრუნდებიან მუდმივი დისლოკაციის ადგილებს. თუმცა მსგავსს ვერაფერს ხედავს დასავლეთი. მეტიც, დასავლეთის სადაზვერვო სამსახურების ინფორმაციით, რუსეთის მიერ მობილიზებული სამხედროების რიცხვი 150 ათასამდე გაიზარდა.

## კიდევ რა მსგავსებაა?

**გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე უკრაინელმა ელჩმა სერგი კისლიცამ საქართველო ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების საფრთხის კონტექსტშიც ახსენა და აღწერა მსგავსება 2008 წელთან, როცა რუსეთის დუმამ მაშინდელ პრეზიდენტს დმიტრი მედვედევს ოკუპირებული აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების ერთპიროვნული უფლება მიანიჭა. 16 თებერვალს დუმამ ასეთივე უფლებამოსილებით აღჭურვა რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი, ახლა უკვე უკრაინის დონეცკისა და ლუგანსკის ე.წ. სახალხო რესპუბლიკების დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარებისთვის.**

## რა არის განსხვავებული?

**2008 წლის საქართველოსა და 2022 წლის უკრაინის შემთხვევაში, რუსეთის მსგავს ხელწერას ხედავს პოლიტოლოგი თენგიზ ფხალაძეც, საქართველოს მეოთხე პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი.**

თუმცა მისთვის თვალსაჩინოა ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება და ომის საფრთხეების მიმართ ეს – დასავლეთის ბევრად უფრო ფხიზელი მიდგომაა.

**„მაშინ 2008 წელს ამისთვის აბსოლუტურად მოუმზადებელი იყო საქართველოც და დასავლეთიც. დღეს წინააღმდეგობისთვის მომზადებულია უკრაინა და მომზადებულია დასავლეთი. ჩვენ მაშინ წავაგეთ საინფორმაციო ომი რუსეთთან, ხოლო უკრაინამ შეძლო, რომ ამის საშუალება არ მიეცა რუსეთისთვის. თუკი ამაზე პრევენციულად არ იმუშავე, შეუძლებელია ამის გაკეთება ბოლო წუთს... მთელი სიმძლავრით მუშაობდა რუსეთის პროპაგანდისტული მანქანა და „მძინარე ცხინვალის“ სცენაც ხომ მათი მოგონილია. სპეციალური სცენების დასადგმელად იქ გადამღები ჯგუფებიც ჩაიყვანეს “,** – გვეუბნება **თენგიზ ფხალაძე.**

ექსპერტების შეფასებით, 2008 წლის მოვლენები დასავლეთმა შესაბამისად მხოლოდ მას შემდეგ გააცნობიერა, რაც 2014 წელს რუსეთი ახლა უკვე უკრაინაში შეიჭრა და ყირიმის ანექსიასთან ერთად, დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების ნაწილის ოკუპაცია მოახდინა.

**„თუკი მაშინ „2008 წელს“ დასავლეთს არ სჯეროდა, რომ რუსეთს შეეძლო, ჯარი შეეყვანა და დაებომბა მეზობელი ქვეყანა, ახლა სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა... განსხვავებაა ისიც, რომ დასავლეთი მზად არის უკვე მაღალი დონის ჩართულობისთვის“...**

საქართველოსა და უკრაინის შემთხვევებს შორის ექსპერტები კიდევ ერთ განსხვავებას ხედავენ, მაშინ საქართველოში ოფიციალურად იყო წარმოდგენილი რუსეთი – ე.წ. რუსი სამშვიდობოების სახით, რომლებსაც კრემლი **„მათ შორის – აგრესიისთვისაც იყენებდა“**. უკრაინის საზღვრებთან რუსეთმა ძალების კონცენტრირება უკვე რამდენიმე თვეა, დაიწყო და თანდათან პროცესი სულ უფრო ინტენსიური გახდა. ნატოს ქვეყნები ამ ფაქტს უკრაინაზე თავდასხმისთვის მზადებად განიხილავენ და კიევს, მათ შორის – თავდაცვითი იარაღითაც ეხმარებიან. ჯერჯერობით უშედეგოა დიპლომატიური ძალისხმევა.

**ლელა კუნჭულია,**
**„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი.**

# საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი

# დადგენილება

## არბიტრაჟის სახელით საჯარო შეტყობინების შესახებ

## საქმე №01-895/2019

**ქ. თბილისი** **18 თებერვალი, 2022 წელი**

**საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარემ მამუკა ღვინიაშვილმა, მხარეთა მონაწილეობის გარეშე განვიხილე სარჩელის საჯაროდ გავრცელების საკითხი.**

### გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

საქართველოს საარბიტრაჟო პალატას საარბიტრაჟო სარჩელით მომართა ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ თამარ საკანდელიძეს მიმართ, თანხის დაკისრების შესახებ.

სარჩელისა და მასზე თანდართული მასალების ასლები, ასევე არბიტრაჟის უწყება და არბიტრაჟის დებულება, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად, არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართზე გაეგზავნა მოპასუხეს, მაგრამ ჩაბარების ორმაგი მცდელობის მიუხედავად ვერ ჩაბარდა არასრული მისამართის გამო. მოპასუხესთან დაკავშირება ასევე ვერ მოხდა ტელეფონით, რადგან საქმეში მითითებული ნომერი გამორთულია.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-17 მუხლის თანახმად თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის არბიტრაჟის შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება და არბიტრაჟის მიერ ამ დებულების მე-16 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, არბიტრაჟს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არბიტრაჟის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

არბიტრაჟს მიაჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხეს სარჩელში მითითებულ მისამართზე გაგზავნილი სარჩელი და თანდართული მასალები ვერ ჩაბარდა და ამასთან მისი სხვა ადგილსამყოფელის შესახებ არბიტრაჟისათვის უცნობია, მას სარჩელის და თანდართული მასალების თაობაზე უნდა ეცნობოს საჯარო შეტყობინებით.

### ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

ვიხელმძღვანელე საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-2, მე-17 მუხლებით და

### დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. მოპასუხე თამარ საკანდელიძეს საქართველოს საარბიტრაჟო პალატა წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს შემდეგს:

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის წარმოებაშია ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საარბიტრაჟო სარჩელი თამარ საკანდელიძეს მიმართ, თანხის დაკისრების შესახებ.

### სასარჩელო მოთხოვნა:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის საფუძველზე თამარ საკანდელიძეს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სასარგებლოდ დაეკისროს 5983.35 ლარის და საარბიტრაჟო მოსაკრებელის 299.16 ლარის გადახდა.

2. საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების 26-ე მუხლის თანახმად მოპასუხეს უფლება აქვს 7 დღის ვადაში საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედ არბიტრაჟში წარმოადგინოთ წერილობითი შესაგებელი საარბიტრაჟო სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებზე ან შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელი, რომლებშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) მხარეთა სახელწოდებები;

ბ) მისამართები (ადგილსამყოფელი);

გ) გარემოებები და მტკიცებულებები, რითაც შეიძლება დადასტურდეს შესაგებელში (შეგებებულ სარჩელში) მითითებული მოთხოვნები და გარემოებები;

დ) შესაგებელზე (შეგებებულ სარჩელზე) თანდართული საბუთების ნუსხა.

3. თამარ საკანდელიძეს ეცნობოს, რომ საქმის განხილვა დანიშნულია 2022 წლის 9 მარტს 12:00 საათზე ზეპირი მოსმენის გარეშე.

4. თამარ საკანდელიძეს ეცნობოს, რომ საქმეს განიხილავს არბიტრაჟის თავმჯდომარე მამუკა ღვინიაშვილი. მასვე განემარტოს, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-4 მუხლის თანახმად უფლება აქვს გზავნილის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წერილობით მომართოს არბიტრაჟს არბიტრის აცილების შესახებ, სადაც უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები.

5. თამარ საკანდელიძეს განემარტოს, რომ სარჩელი და თანდართული დოკუმენტები, ასევე უწყება საქმის განხილვის შესახებ, მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

6. თამარ საკანდელიძეს განემარტოს, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება საქმის წარმოების წესების შესახებ გამოქვეყნებულია საქართველოს საარბიტრაჟო პალატის ვებგვერდზე: http://acg.org.ge/img/debuleba.pdf

7. წინამდებარე დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“.

8. დადგენილება ძალაში შედის გამოტანის მომენტიდან.

## ხუთი რგოლი

# არის მე-9!




**პეკინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ფიგურულ სრიალში ლუკა ბერულავასა და კარინა საფინას წყვილმა ფინალში იასპარეზა და მეცხრე ადგილი დაიკავა.**

ქართულმა დუეტმა თავისუფალი პროგრამა შესანიშნავად შეასრულა და 126.33 ქულა დაიმსახურა (63.88 ქულა ტექნიკური ელემენტებისთვის, 62.45 ქულა პრეზენტაციისთვის). გარდა ამისა, თავისუფალი პროგრამის შედეგს მოკლე პროგრამის 66.11 ქულა დაემატა და მთლიანობაში საფინა-ბერულავას წყვილმა 192.44 ქულა დააგროვა.

აღსანიშნავია, რომ საფინა და ბერულავა თავისი გამოსვლის შემდეგ ლიდერები იყვნენ, მაგრამ მერე ყინულზე კიდევ 8 წყვილი გავიდა, რომლებიც საუკეთესო ჯგუფებში იყვნენ განთესილები და ყველა მათგანმა უკეთესი შედეგი აჩვენა, შედეგად, ქართველებს საბოლოოდ მეცხრე პოზიცია ერგოთ, რაც ისტორიაში საუკეთესოა!

ლუკა ბერულავა და კარინა საფინა მიმდინარე ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი ქვეყნის ბოლო წარმომადგენლები იყვნენ. შეგახსენებთ, რომ საქართველოს დელეგაცია პეკინში 9 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი.

### პეკინის ოლიმპიადის საბოლოო გუნდური ჩათვლა

**ნორვეგია — 37 (16, 8, 13), გერმანია — 27 (12, 10, 5), ჩინეთი — 15 (9, 4, 2), აშშ — 25 (8, 10, 7), შვედეთი — 18 (8, 5, 5), ნიდერლანდები — 17 (8, 5, 4), ავსტრია — 18 (7, 7, 4), შვეიცარია — 14 (7, 2, 5), რუსეთის ოლიმპიური კომიტეტი — 32 (6, 12, 14), საფრანგეთი — 14 (5, 7, 2), კანადა — 26 (4, 8, 14), იაპონია — 18 (3, 6, 9), იტალია — 17 (2, 7, 8), სამხრეთ კორეა — 9 (2, 5, 2), სლოვენია — 7 (2, 3, 2), ფინეთი — 8 (2, 2, 4), ახალი ზელანდია — 3 (2, 1, 0).**

თითო „ოქრო“ დაიმსახურეს ავსტრალიამ, დიდმა ბრიტანეთმა, უნგრეთმა, ბელგიამ, ჩეხეთმა და სლოვაკეთმა, ორი „ვერცხლი“ — ბელარუსმა, თითო „ვერცხლი“ — ესპანეთმა და უკრაინამ, ხოლო თითო „ბრინჯაო“ — ესტონეთმა, ლატვიამ და პოლონეთმა.

## ტატამზე

# ქართული დუბლი




**თელ-ავივის გრანდ სლემი საქართველოსთვის კარგად დასრულდა - „ორი ოქროთი“. ილია სულამანიძემ და გურამ თუშიშვილმა უმაღლესი სინჯის მედლის მოპოვება მოახერხეს.**

სულამანიძემ 100 კგ წონით კატეგორიაში ისრაელის წარმომადგენელი სტანისლავ ბანჩუკი, რუმინელი ედუარდ სერბანი და აზერბაიჯანელი სელიმ კოცოევი დაამარცხა, ფინალში კი ნიდერლანდელ მიხაელ კორელს აჯობა და თელ ავივის გრანდ სლემზე საქართველოს პირველი ოქროს მედალი მოუტანა.

+100 კგ წონით კატეგორიაში თუშიშვილმა უზბეკი ბეკმუროდ ოლტიბოევი დაამარცხა, რასაც მონღოლ მუნკაჯარგალ ერდენეხუუსთან გამარჯვება მოჰყვა, შემდეგ ნახევარფინალში ტაჯიკ თემურ რახიმოვს აჯობა, ხოლო ფინალში ბრაზილიელ რაფაელ სილვასაც სძლია და ოქროს დაეუფლა. 100 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალთან ახლოს იყო ონისე სანებლიძე, რომელმაც ამერიკელი სმითის ძლევის შემდეგ მიხაელ კორელთან წააგო და რეპეშაჟში გადაინაცვლა, სადაც მონღოლ გონჩიგსურენ ბატხუიაგს მოუგო და ბრინჯაოს მედლისთვის აზერბაიჯანელ კოცოევს დაუპირისპირდა, თუმცა დამარცხდა და უმედლოდ დარჩა.

+100 კგ წონით კატეგორიაში ახლოს იყო ქართული ფინალი, მაგრამ ნახევარფინალში ონისე ბულაძე სწორედ რაფაელ სილვასთან დამარცხდა. მანამდე ონისემ აზერბაიჯანის სახელით მოასპარეზე უშანგი კოკაური და უკრაინელი იაკივ ხამო დაამარცხა. ბრინჯაოს მედლისთვის ბულაძე ავსტრიელ სტეფან ჰეგის შეხვდა, მაგრამ წააგო და ისიც უმედლოდ დარჩა.

90 კგ წონით კატეგორიაში უშანგი მარგიანმა პირველ წრეში აზერბაიჯანელი რუფათ ისმაილოვი დაამარცხა, მაგრამ შემდეგ სერბ ნემანია მაიდოვთან დამარცხდა, რეპეშაჟშიც ვერ გადავიდა და ასპარეზობა დაასრულა. ქალთა შორის +78 კგ წონით კატეგორიაში იასპარეზა სოფიო სომხიშვილმა, რომელმაც ბრაზილიელ კამილა იამაკავასთან წააგო და გრანდ სლემს გამოეთიშა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები თელ ავივის გრანდ სლემზე 15 ძიუდოისტით გამოვიდა და 3 მედალი მოიპოვა — ილია სულამანიძე და გურამ თუშიშვილი ოქროს, ხოლო ეთერ ლიპარტელიანი ვერცხლის მედალს დაეუფლნენ.

## აუზში

# ცალი ხელით

**საქართველოს წყალბურთელთა ეროვნულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის საგზურის ზედიზედ მეხუთედ მოპოვების შანსი მას შემდეგ მიეცა, რაც საკვალიფიკაციო ტურნირის ერთ-ერთი ჯგუფის მასპინძლობა დაეკისრა და მეტოქეებად „ბ“ კვარტეტში წილისყრამ ბელარუსი, პოლონეთი და სლოვაკეთი არგუნა.**

ჩვენი გუნდის უპირატესობაზე ის სტატისტიკური ფაქტი მეტყველებდა, რომ, მაგალითად, ბელარუსს აქამდე გამართული ექვსი მატჩიდან ხუთი მოვუგეთ და სულ პირველი დავთმეთ პენალტებით, რადგან ძირითადი დრო ფრედ დასრულდა.




დანარჩენი ჯგუფები: **„ა“ ჯგუფი.** გერმანია, საფრანგეთი, შვეიცარია, სლოვენია (სლოვენიაში); **„გ“ ჯგუფი.** რუმინეთი, ლიეტუვა, ირლანდია, მალტა (მალტაზე); **„დ“ ჯგუფი.** თურქეთი, ნიდერლანდები, უკრაინა, ისრაელი (ისრაელში).

შეგახსენებთ, რომ წინა კონტინენტურ ფორუმზე ბუდაპეშტში მე-10 ადგილი დავიკავეთ შემდეგი შედეგებით: საფრანგეთთან — 9:7, საბერძნეთთან — 10:17, იტალიასთან — 6:18 (ჯგუფში), რუსეთთან — 13:14, თურქეთთან — 12:6 და გერმანიასთან — 8:9 (პლეი-ოფში), თორემ რვა საუკეთესოში მოხვედრის შემთხვევაში ავტომატურად დავიბევებდით „ევრო — 2022“-ზე თამაშის უფლებას.

მაშინ ამ მისიას წარმატებით გაართვეს თავი უნგრეთმა, ესპანეთმა, მონტენეგრომ, ხორვატეთმა, სერბეთმა, იტალიამ, საბერძნეთმა და რუსეთმა, ჩვენ კი დარჩენილი 8 ვაკანსიისთვის მოგვიწია ბრძოლა.

დავძენთ, რომ სეზონის უმთავრეს მოვლენას 27 აგვისტოდან 10 სექტემბრის ჩათვლით სპლიტის 10.000-იანი „სპალადიუმ არენა“ უმასპინძლებს, ხოლო მანამდე — 11-21 აგვისტოს რომში სპორტის საწყლოსნო სახეობათა ევროპირველობა მოეწყობა.

რაც შეეხება თბილისის „ოლიმპიკის“ აუზში გამართულ უთანასწორო ბრძოლებს, „ჯვაროსნებმა“ ვადამდე მოიპოვეს მომავალი ევროპული ფორუმის საგზური შემდეგი იოლი გასეირნებებით:

**საქართველო — ბელარუსი 25:5,**
**საქართველო — პოლონეთი 22:1,**
**საქართველო — სლოვაკეთი 18:16.**

## კორტზე

# ფინალისტობას წარმატებაა



**დოჰას ტურნირის შარშანდელ გამარჯვებულს ნიკოლოზ ბასილაშვილს წლევანდელი ასპარეზობის მეოთხედფინალში უნგრელი მარტონ ფუჩოვიჩის სახით უხერხული მეტოქე ჰყავდა, რადგან ყატარის კორტზე ამჯერად გამართულ მეექვსე შეხვედრამდე მასთან უარყოფითი ბალანსი ჰქონდა — ორი მოგება და სამი წაგება.**

მსოფლიოს 22-ე ჩოგანს რაიმე სასიკეთოს არც აღნიშნული ბრძოლის სტარტი უქადდა, რადგან პირველი პარტია უშანსოდ დათმო — 1:6. საბედნიეროდ, არასტაბილური თამაშით გამორჩეული ჩვენი თანამემამულე მალევე მოეგო გონს და მეორე სეტში მეოთხე გეიმის აღებით ანგარიში გაათანაბრა — 6:3 (1:1).

ნერვების ომი გადამწყვეტ პარტიაში გაგრძელდა, რომელიც მადიარმა ჩინებულად დაიწყო — 3:0, მაგრამ ნიკამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ფარხმალს არასდროს ყრის. მან ჯერ უკუბრეიქი შეასრულა, ხოლო შემდეგ კრიტიკულ ვითარებაში გაუმკლავდა წარმატებით მოწინაალმდეგის მოწოდებას— 7:5 და ნახევარფინალში გავიდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ფრანგ თინეიჯერ არტურ რეშემბერს ბასილაშვილი იოლად გაუსწორდა — 6:4, 6:2 და სატიტულო ბრძოლაში ესპანელ რობერტო ბაუტისტა აგუტს შეება. პრინციპულმა მეტოქემ ორ პარტიაში შეძლო რევანშის აღება — 6:3, 6:4 და წოდება დაიბრუნა, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ნიკამ მეორე სეტში 3:1-ზე სოლიდური უპირატესობა — 40:15 საკუთარ მოწოდებაზე გაფლანგა.

დავძენთ, რომ ამ დღეებშივე **მარიამ ბოლქვაძემ** ალტენკირჰენის კორტზე იასპარეზა და საკმაოდ წარმატებითაც — ერთეულთა თანრიგში ნახევარფინალში დამარცხების შემდეგ მან წყვილთა ტურნირი მოიგო.

## ცხელი ყინული

# გეიზერების ქვეყანაში

**მართალია, პეკინის თეთრი ოლიმპიადა უკვე დასრულდა, მაგრამ სპორტის ზამთრის სახეობათა ქართველ ქომაგებს მაინც ცხელი გაზაფხული ელით, რადგან 18-24 აპრილს ისლანდიის დედაქალაქი რეიკიავიკი კოვიდპანდემიით გამოწვეული ორწლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ ჰოკეისტთა მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე დივიზიონის „ბ“ ჯგუფის ტურნირს უმასპინძლებს ჩვენი ქვეყნის ნაკრების მონაწილეობით.**

„ჯვაროსანთა“ შეხვედრების კალენდარი : **18 აპრილი.** საქართველო — ბულგარეთი. **19 აპრილი.** საქართველო — ბელგია. **23 აპრილი.** საქართველო — ისლანდია. **24 აპრილი.** საქართველო — მექსიკა.

შეგახსენებთ, რომ მესამე დივიზიონიდან 2018 წელს ავზევდით, როცა სამხრეთ აფრიკაში ჯგუფური რაუნდი მოვიგეთ, ხოლო შემდგომ სეზონში მექსიკაში გამართული 5 მატჩიდან ორში გამარჯვებითა და სამში დამარცხებით მეორე ეშელონში ადგილი შევინარჩუნეთ, მაგრამ ორჯერ კორონავირუსმა ისლანდიაში თამაშის საშუალება არ მოგვცა და, ვიმედოვნებთ, მესამე ცდა იღბლიანი აღმოჩნდება.

სხვათა შორის, სწორედ აღნიშნული მიზეზის გამო განაცხადეს უარი ევროპაში ჩამოსვლაზე ჩვენი და **„ა“ ჯგუფების** მეექვსე გუნდებმა — შესაბამისად, ახალმა ზელანდიამ და ავსტრალიამ (იგი ხორვატეთში შეიკრიბება ორგანიზატორთა, ნიდერლანდების, ესპანეთის, ჩინეთისა და ისრაელის შემადგენლობით, მესამე დივიზიონს კი ჰონკონგი გამოაკლდა და სამხრეთაფრიკულ კეიპტაუნში მხოლოდ სამთა ტურნირი მოეწყობა).

და ბოლოს: თითოეული ჯგუფიდან სავარაუდოდ ამჯერადაც მხოლოდ გამარჯვებული დაწინაურდება პირველ დივიზიონში, სადაც ბრძოლას 12-ვე რჩეული აპირებს.





# მშენებლობა სამთავრობო განვადებით

## რა იგულისხმება პრემიერის ახალ მასშტაბურ შეთავაზებაში?

მთავრობა ახალი ინიციატივით გამოდის. პრემიერ-მინისტრის დაანონსებული ახალი პროგრამის მიხედვით, საუბარია ხელშეკრულებების გაფორმებაზე სამშენებლო კომპანიებთან, სადაც დამკვეთი სახელმწიფო იქნება, თანხას კი ამა თუ იმ ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებისთვის კომპანიები რამდენიმე წლის განმავლობაში მიიღებენ.

აღსანიშნავია, რომ საბანკო კრედიტების გარანტორი მთავრობა იქნება, რომელიც მშენებლობის დასრულების შემდეგ სამშენებლო კომპანიას დაფინანსებას განვადების გზით გადაუხდის. სწორედ ესაა მნიშვნელოვანი დეტალი, რომელმაც დეველოპერებში ინტერესი უნდა გამოიწვიოს.

**„ჩვენი მიზანია საჯარო და კომუნალური მშენებლობების წახალისება და დარგში კონკურენციის გაზრდა. ამ მხრივ დამატებით 500 მილიონი ლარიდან 1 მილიარდ ლარამდე ინვესტირებას ვგეგმავთ წელსვე. დევნილებისთვის გვაქვს ასაშენებელი, დაახლოებით, ნახევარი მილიონი კვადრატული მეტრი, ასევე, პოლიციისთვის გვაქვს ასაშენებელი ახალი ობიექტები და საცხოვრებლები. ამიტომ ჩვენ სამშენებლო კომპანიებს შევთავაზებთ, რომ მათ დამატებით მოიზიდონ ფინანსური რესურსი ბანკებიდან ჩვენი გარანტიით, ანუ მათ ექნებათ გარანტირებული დაკვეთა სახელმწიფოს მხრიდან და 3-5 წლის განმავლობაში განვადებით გადავიხდით ამ თანხას. ჩვენ ამის გამოცდილება გვაქვს, როდესაც მსგავსი პროექტი თავდაცვის სამინისტროში ჩემი მინისტრობისას განვახორციელეთ. 4-5 წლის გასაკეთებელს გავაკეთებთ ერთ წელიწადში. ეს 1-დან 2%-მდე დამატებითი ეკონომიკური ზრდის მომტანი იქნება“,** — განაცხადა **ირაკლი ღარიბაშვილმა**.

სამშენებლო სექტორში უკვე დაიწყო ინიციატივის შეფასება. „არსის“ გენერალური დირექტორი **ბესო ორთოიძე** აღნიშნავს, რომ მართალია, მისი კომპანია სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში არ მონაწილეობს, მაგრამ პრემიერის ინიციატივას დადებითად აფასებს.

„სახელმწიფო ამბობს, რომ ის გასცემს გარანტიას, რომ თანხას იხდის, თუმცა ამ ეტაპზე ბიუჯეტში არა აქვს საკმარისი ფული იმისთვის, რისი გაკეთებაც ახლა უნდა. ამიტომ ამ თანხას ახლა კი არა სამი წლის განმავლობაში გადაიხდის, ხოლო კომპანიებმა ეს სამუშაო შეასრულონ საბანკო სესხით და 3 წლის განმავლობაში კი მთავრობა ამ ვალს დაფარავს.

**სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ის, რომ მისი გაცემული გარანტია ბანკმა მიიღოს. ამისთვის საჭიროა მთავრობას ბანკებთანაც ჰქონდეს მოლაპარაკება, რათა ამ გარანტიის საფუძველზე მათ სესხი გასცენ. ზოგადად, ეს იდეა კარგია და ადრე ჩვენც გვქონდა. ეს სწორი გადაწყვეტილებაა ეკონომიკის დაჩქარების კუთხით, მთავარია, სწორად დაიგეგმოს და ყველა სტრუქტურამ საკუთარი საქმე გააკეთოს“,** — განაცხადა ორთოიძემ.

მისივე თქმით, სახელმწიფომ უნდა მოამზადოს იმ პროექტების ჩამონათვალი, რომლებსაც ამ პროგრამის ფარგლებში განახორციელებს.

**„პროექტების გარეშე ეს პროგრამა ვერ განახორციელდება. მაგალითად, გეგმაში შეიძლება გქონდეს 2024 წელს სვანეთში რაღაც ობიექტის აშენება, თუმცა პროექტია საჭირო, ამიტომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა იქნება, რომ ეს პროექტები დასაწყებად მოამზადოს. თავად კომპანიებისთვის კი ვფიქრობ, მარტივი სქემაა, რომ გარანტიის საფუძველზე ბანკებისგან ფული ისესხონ“,** — განაცხადა „ბიემთან“ ორთოიძემ.

სამშენებლო სექტორს ამის გარდა ბევრი სხვა კითხვაც გაუჩნდა. მაგალითად, რა ვალუტასა და რა ვადაში იქნება გაცემული სესხები. ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის დირექტორი **ანა საბახტარიშვილი** ფიქრობს, რომ მთავრობამ ამ პროგრამის პირობები როგორც საბანკო, ასევე სამშენებლო სექტორთან დეტალურად უნდა გაიაროს.

**„ალბათ მთავარი, რაზეც მთავრობამ სექტორთან ერთად უნდა იმსჯელოს, მათ შორის ბანკებთან, სესხის პირობებია. ინფრასტრუქტურული პროექტების განმახორციელებელ კომპანიებს, რომლებიც საკმაოდ რთული კრიზისის წინაშე დგანან, შესაძლოა, გაუჭირდეთ სესხის მიღება და თანაც კარგი პირობებით. მეორე საკითხია, რა ვალუტაში იქნება კრედიტები. თუ ვსაუბრობთ ამ თანხის განაწილებაზე, მნიშვნელოვანია, რა ვალუტით უნდა მიიღონ მათ სესხი. თუ დოლარში აიღებენ, მაშინ ამ შემთხვევაში სავალუტო რისკებია გასათვალისწინებელი. თუ ლარში იქნება, მაშინ მნიშვნელოვანია მოგების მარჟა, რომელიც დააბალანსებს გაძვირებულ საპროცენტო ხარჯს“,** — განაცხადა საბახტარიშვილმა და დასძინა, რომ მთავრობას ამ პროექტზე კონსულტაცია სამშენებლო სექტორთან არ გაუვლია და მხოლოდ ცალკეულ კომპანიებს ჰქონდათ ამაზე ინფორმაცია.

**ბექა დანელია**

# იზა ომაძე: ღმერთმა ნუ ქნას, რომ რამდენიმე ადამიანს გადაჰყვეს ჩვენი ქვეყნის მართლმსაჯულება!



**კარგად მესმის თქვენი, ჟურნალისტების, რომლებიც ინტერესდებით და ლამის ყოველდღიურ რეჟიმში მიწევს უარის თქმა განცხადებაზე ან ინტერვიუზე, მადლიერების მეტი რა მეთქმის, მაგრამ მინდა გირჩიოთ, იქნებ გაიგოთ მკვლელების ოჯახები, მათი დამხმარეები, მკვლელების მასპინძელი ოჯახები როგორ აგრძელებენ ცხოვრებას, იქნებ ახალი მსხვერპლს ეძებენ???**

**სამუდამოდ, დიახ ბატონებო, სამუდამოდ...**



**18 თებერვალს სასამართლო პროცესია, მინდა დავარღვიო დუმილი და მოგაწოდოთ უტყუარი ინფორმაცია, რომელიც არა მარტო ჩვენმა ოჯახმა არამედ ბევრმა ადამიანმა იცის, რომ გიორგი კაველაძეს აქვს აღიარებული დანაშაული, მას დეტალურად აქვს აღწერილი დანაშაულის მომზადების ყველა დეტალი და დასახელებული ჰყავს დამკვეთიც, დამხმარეც და საკუთარ როლზეც ბევრი აქვს ნათქვამი. ეს იყო ძალიან დიდი ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული, როგორც მისი აღიარებითი ჩვენებიდან ვიცით.**

**ჩვენი ოჯახი 15 სექტემბრის რეჟიმში ვცხოვრობთ უკვე ხუთი თვეა, ჩვენი ემოციებით და მდგომარეობით თავს არ შეგაწყენთ, ძალიან დიდი უსინდისობაა იმის თქმა, რომ დრო მკურნალია, რითიც სარგებლობენ მკვლელების ოჯახები, და ის ადამიანები ვინც ეს დიდი ბოროტება დაგეგმა, არა ბატონებო თქვენ ძალიან ცდებით, დრო მკურნალი არ არის ისე, როგორც ნიკოს გარდაცვალება არ არის მისი დამარცხება!**

**„მე ხომ მომკლეს“. დიდი ამბავი! აი მეც დამხვრიტეს, მაგრამ მაინც ცოცხალი ვარ, ვარ თუ არა ცოცხალი? როგორ გგონია, დამმარხეს და მაინც მიწაზე დავდივარ. იცი რატომ? იმიტომ რომ ვერ დამაჯერეს ჩემი მოკვლის უფლება რომ ჰქონდათ. მთავარი კი ესაა“. (ოთარ ჭილაძე).**

**სამი ულირსი ადვოკატი და ოჯახები ჯგუფური დანაშაულიდან თავის დაღწევის მიზნით არ აძლევენ საშუალებას, რომ მკვლელებმა საზოგადოების წინაშე აღიარონ ჯგუფურად ჩადენილი დანაშაული. კაველაძეებმა ერთხელ უკვე მსგავსი მეთოდით დაიხსნეს შვილი დანაშაულიდან.**

**ღმერთმა არ ქნას, რომ ამ რამდენიმე ადამიანს გადაჰყვეს ჩვენი ქვეყნის მართლმსაჯულება.**

**საბრალოებო, ჩვენი რწმენა და მიმტევებლობა, ძალიან ცუდად გამოიყენეთ, და ვერ გათვალეთ, რომ ამ ქვეყანაში არის კანონი, რომლის წინაშეც, მორწმუნეც და ურწმუნოც თანასწორია. ჯგუფურს მარტო კაველაძე და ჭელიძე კი არა, სხვა ახალგაზრდებიც ვერ დააღწევენ თავს.**

**ნათია ჯაფარაშვილს და თეკლე გავაშელიშვილს პირადად მოგმართავთ, ჩვენ დიდხანს ველოდით თქვენგან და ეჭვადაც არ გვქონდა, რომ თქვენ პირიქით ადამიანურ სახეს შეინარჩუნებდით და იმ შემზარავი კადრების, ტერორისტული აქტის, ხილვის მერე, რომელიც თქვენმა შვილებმა განახორციელეს და რომელიც მთელმა ქვეყანამ იხილა, თავად მოითხოვდით შვილების დასჯას, თქვენ კი ძვირადღირებული ადვოკატები აუყვანეთ და მათთან ერთად ფულზე ჰყიდით სინდისს.**

**გონზე მოდით ახლა მაინც და შვილებთან ერთად საკუთარ სულსაც ნუ წარიწყმენდთ!**

**მე კარგად მესმის თქვენი ჟურნალისტების, რომლებიც ინტერესდებით და ლამის ყოველდღიურ რეჟიმში მიწევს უარის თქმა განცხადებაზე ან ინტერვიუზე, მადლიერების მეტი რა მეთქმის, მაგრამ მინდა გირჩიოთ, იქნებ გაიგოთ მკვლელების ოჯახები, მათი დამხმარეები, მკვლელების მასპინძელი ოჯახები როგორ აგრძელებენ ცხოვრებას, იქნებ ახალ მსხვერპლს ეძებენ???**

**რისი ან ვისი იმედად ჩქარობენ, რომ ასე სწრაფად დააყენონ განაჩენი???,** — წერს ნიკო კვარაცხელიას დედა **იზა ომაძე**.

# აშშ-ის საელჩოსთან თანამშრომლობით თაღლითი გამოიჭირეს!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარმა სამმართველოს თანამშრომლებმა ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან აქტიური თანამშრომლობით, დიდი ოდენობით ჩადენილი თაღლითობის ბრალდებით – 1990 წელს დაბადებული ს.ფ. თბილისში დააკავეს.**

**დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

**გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ქალი საქართველოს მოქალაქეებს – მ.შ.-ს და ჯ.გ.-ს, გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ,**



**ამერიკის შეერთებულ შტატებში გასამგზავრებელი ბილეთების შეძენას, აშშ-ში საცხოვრებლით, ასევე, სამსახურით უზრუნველყოფასა და სამუშაო ვიზების დამზადებას დაჰპირდა.**

**ბრალდებულმა ამ მოქალაქეებს პასპორტები და ფული იმ მოტივით გამოართვა, რომ დოკუმენტებს ვიზის განაცხადის შესავსებად გამოიყენებდა, თუმცა თანხის მიღების შემდეგ შეთანხმება არ შეასრულა. ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად იგი უკანონოდ დაეუფლა ჯამში 15 168 ლარს.**

**აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ს.ფ.-ს, რომელიც სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას თავს არიდებდა, საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე -3 ნაწილის “ბ“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით თაღლითობა) ბრალი დაუსწრებლად წარედგინა, ხოლო სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. სამართალდამცველებმა ქალი ბრალდებულის სახით დააკავეს და პენიტენციურ დაწესებულებაში გადაიყვანეს. გარდა აღნიშნული ფაქტისა, გამოძიებით დადგინდა, რომ ს.ფ.-მ 2021 წელს თაღლითობის კიდევ რამდენიმე ფაქტი ჩაიდინა, რომლებზეც გამოძიებას აწარმოებს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველო, ძველი თბილისის მთავარი სამმართველო და სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონული სამმართველო.**

# პნევმატური იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებული წესები გამკაცრდა

**საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს შს სამინისტროს ინიციატივით მომზადებული წესები, რომელთა მიხედვითაც პნევმატიკური იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებული რეგულაციები გამკაცრდა.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მთავრობის შესაბამისი დადგენილების თანახმად, პნევმატური იარაღის რეგისტრაციის გარეშე ტარება აიკრძალა.

**„ახალი რეგულაციების საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში ტარების უფლებით რეგისტრაციას ექვემდებარება ის სანადირო ან სპორტული პნევმატური იარაღი, რომლის ლულის სიგრძე 30 სმ-ზე მეტია ან იარაღის საერთო სიგრძე აღემატება 60 სმ-ს. ასევე, დაუშვებელია პნევმატური იარაღისთვის განკუთვნილი იმ ჭურვის გამოყენება, რომლის ტექნიკური მახასიათებლები აღემატება 4.5 მმ კალიბრს.**

**საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, რეგისტრაციას არ ექვემდებარება ელექტროპნევმატური იარაღი (აირ სოფტ) და სალებავების სასროლი ბურთულების პნევმატური იარაღი (პაინტ ბოლლ). ამასთანავე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, დეტალურად გაიწერა პნევმატიკური იარაღის შენახვისა და ტარების წესი.**

## გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველთა საყურადღებოდ!

ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს შევახსენებთ, რომ გაზეთს აქვს განახლებული ვებ-გვერდი www.sakresp.ge თქვენ საშუალება გეძლევათ, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან გაეცნოთ გაზეთის ახალ ნომრებს, გამოიწეროთ იგი ელექტრონულად, განათავსოთ თქვენთვის სასურველი რეკლამა და სარეკლამო ბანერი.

გაზეთის სარეკლამო სივრცე გელით ყველას!

თქვენგან გაღებული თითოეული ლარი გადაარჩენს ამ ყველაზე საჭირო გაზეთს!

იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა“, გაიძლიერეთ სიცოცხლის რწმენა და იმედი!

103 წლის ყველაზე ქართული გაზეთი თქვენ გვერდითაა!




ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

## საჩუქარიც ამას ჰქვია




**აშშ-ში, ვირჯინიაში, მარია ჩიკას მეუღლემ ლატარიის ბილეთი აჩუქა და უთხრა, რომ მასში შემოხაზული ნომრებით 410 მილიონი მოიგო. „ვიფიქრე, რომ ხუმრობდა“,** — ამბობს ქალი. ირკვევა, რომ კაცმა ბილეთი ვალენტინობამდე რამდენიმე დღით ადრე იყიდა, შეავსო, 410 მილიონი მოიგო და დაელოდა ვალენტინობას, რათა ის მეუღლისთვის მიეცა.

## უიშვიათესი ლურჯი ბრილიანტი აუქციონზე გაიყიდება



**სააუქციონო სახლი Sotheby's-ი აპრილში 15.10-კარატიანი ლურჯი ბრილიანტის, სახელწოდებით De Beers Cullinan Blue-ის გაყიდვას გეგმავს. როგორც ცნობილია, ეს უკანასკნელი ყველაზე დიდი ლურჯი ბრილიანტია, რომელიც ოდესმე აუქციონზე გასაყიდად გაუტანიათ.**

Sotheby's-ის წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ ძვირფას ქვაში მინიმუმ 48 მილიონ აშშ დოლარს გადაიხდიან. საუქციონო სახლის ინფორმაციით, ლურჯი ბრილიანტი ჰონგ-კონგში, Luxury Week-ის სახელწოდებით ცნობილ კვირეულზე გაიყიდება. ლურჯი ბრილიანტი ალმასის იმ სახეობიდან იჭრება, რომლის შეფერილობასაც მინერალში ბორის კვალი განსაზღვრავს. ამ დრომდე აუქციონზე 10 კარატზე მეტი წონის მქონე მხოლოდ ხუთი ლურჯი ბრილიანტი გაყიდულა, თუმცა მათგან 15 კარატს არც ერთის წონა არ აღემატებოდა. ამერიკის გემოლოგიურმა ინსტიტუტმა (GIA) ძვირფასი ქვის ფერს უმაღლესი შეფასება მისცა და Fancy Vivid Blue-ს კლასიფიკაცია მიაკუთვნა. ალსანიშნავია, რომ ამ კატეგორიაში ლურჯი ბრილიანტების მხოლოდ 1%გადის. ბრილიანტი სამხრეთ აფრიკაში მდებარე კულინანის მაღაროში, 39.34-კარატიანი ალმასიდან მოიჭრა.

## უნდა დავიცვათ ქართული ცეკვები და მრავალხმიანი სიმღერები

**ქართული ცეკვა და მრავალხმიანი სიმღერა ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია,** — ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის სამინისტრო ავრცელებს.

**მათივე განცხადებით, სახელმწიფოს ძალისხმევით მხოლოდ ოთხ ქართულ ცეკვას მინიჭებული აქვს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. ესენია:**

**1. ფერხული (2013 წ.),** წარმდგენი -საქართველოს ხელოვნების სასახლე — კულტურის ისტორიის მუზეუმი;

**2. ხორუმი (2013 წ.)** წარმდგენი — ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;



**3. აჭარული განდაგანას ხალხური ნაირსახეობები (2019 წ.)** წარმდგენი — აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო;

**4. ცეკვა ქართული (2020 წ.)** წარმდგენი — საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ასევე, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული **ქალაქურ მრავალჟამიერს** (2013 წ.) და **ქართულ გალობას** (2021 წ.),

**„ქართულ მრავალხმიანობას მოცემული სტატუსი 2014 წელს მიენიჭა, 2020 წელს კი ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი განესაზღვრა (2001 წელს UNESCწ-ს მიერ აღიარებულია, როგორც მსოფლიო ხელთუქმნელი შედევრების ერთ-ერთი ნიმუში, ხოლო 2008 წლიდან UNESC-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში არის ნომინირებული).**

**თუმცა, სოციალური ქსელის მეშვეობით გავრცელებული ვიდეო, რომელშიც ხელყოფილია სვანური ცეკვა აბსოლუტურად მიუღებელი ფორმით, მოწმობს, რომ დაცვის ეს მექანიზმები საკმარისი არ არის. სახელმწიფოს მიზანია, სათანადო დონეზე იყოს დაცული არა მხოლოდ ცეკვებისა და სიმღერების გარკვეული ნაწილი, არამედ ყველა ცეკვა და სიმღერა იმ სტატუსით, რაც კონკრეტული კულტურული მემკვიდრეობისათვის არის შესაბამისი. ამასთან, იმისათვის, რომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტი UNESC-ს წარმომადგენლობით ნუსხაში იყოს ნომინირებული, ჯერ უნდა მოხდეს ეროვნულ დონეზე მისთვის შესაბამისი დამცავი სტატუსის განსაზღვრა. კერძოდ, უნდა მიენიჭოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. შემდეგ უნდა განესაზღვროს ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება UNESC-ს წარმომადგენლობით ნუსხაში ძეგლის ნომინირება.**

**ალსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 16 თებერვალს კულტურის სამინისტროს სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს ახალი შემადგენლობა ჩამოყალიბდა, რომლის წინაშეც დაისმება მოცემული საკითხი და სამინისტროს სსიპ ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან ერთად დაიწყება მუშაობა მოცემული მიზნის მისაღწევად“,** — აღნიშნულია განცხადებაში.

## ბათუმის ბულვარში ალი და ნინოს სკულპტურა განახლდა



**ბათუმის ბულვარის ადმინისტრაციის ინფორმაციით, „ალი და ნინოს“ სკულპტურის რეაბილიტაცია დასრულდა.** საავტორო გადაწყვეტილებით, სკულპტურაზე ფართომასშტაბიანი სამუშაოები ჩატარდა. შეიცვალა მოძრაობისა და ღამის განათების სისტემები, რომელთა მიხედვითაც სკულპტურა ფერადი ეფექტით განათდა.

**„ბათუმის ბულვარის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ღირსშესანიშნაობა განახლებული განათებისა და მოძრაობის სისტემით აგრძელებს ვიზიტორების მოხიბვლას. საავტორო გადაწყვეტილებით, სკულპტურაზე ფართომასშტაბიანი სამუშაოები განხორციელდა. რეაბილიტაციისას, სრულად შეიცვალა მოძრაობისა და ღამის განათების სისტემები, რომელთა მიხედვითაც სკულპტურა ფერადი ეფექტით განათდა. სიყვარულის მოძრავ სკულპტურას, ავტორის — თამარ კვესიტაძის, კომპანია „თკ სტუდიოს“ მიერ ჩაუტარდა რეაბილიტაცია“,** — აცხადებენ ბულვარის ადმინისტრაციაში.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 23 თებერვალს

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.9778; ევრო - 3.3843;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.0546;
100 რუბლი - 3.9877; თურქული ლირა - 0.2184;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7546;
1000 სომხური დრამი - 6.2118.

**ამინდი 21 თებერვლისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | -1, | დღე | +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -5, | დღე | +13 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +3, | დღე | +15 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -1, | დღე | +12 |
| თბილისი: | ღამე | +2, | დღე | +15 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge



ყოველგვარი რეკლამა